

140
1955

ბავშვული
ზინური




ბავშვული ზინური

№ 8
აგვისტო
1955





საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი



გასეირნება საბავშვო მატარებლით

ბაღის მწვანე ხეივანებში
ორთქლმავლის ხმა გვემის ხშირად, —
აი ისიც, ლიანდაგზე
თავმომწონედ დგას და ქშინავს.

იჩქარეთო, — ამბობს თითქოს
ის გიჟმაჟი და პატარა.
გვახსოვს, გვახსოვს, ბევრჯერ ბაღი
რა გუგუნით მოგვატარა.

ვაგონისკენ მივიჩქართო,
გვიციმციმებს ღიმი თვალებს.
აგერ მკვირცხლი გოგონების
გუნდი ჩვენ წინ მიცქრიალებს;

აგერ ფრენით მოჰყვებიან
მშობლებს ჩვენზე პატარები...
ვის არ უყვარს გაქროლება
ამ ცქრიალა მატარებლით!

— ბილეთები! — მოგვაგონებს
გოგო დინჯი და ფხიზელი,
მატარებლის მეთვალყურე,
ჩვენი ტოლი რკინიგზელი.

ორთქლმავალი ჩქარობს, ქშინავს,
ჩქარობს, ღელავს ყველა მგზავრი...
— არ გაყოვნებთ, არ გაყოვნებთ! —
აწკრიალდა ორჯერ ზარი.


ხმა სასტვენმა შეუერთა,
ორთქლმავალმა მისცა ბანი,
აბობოქრდა, აშიშინდა,
მოიტოვა შორს ბაქანი.

პატარაა ორთქლმავალი,
პატარაა მემანქანეც,
მაგრამ, ნახეთ, მატარებელს
რა ყოჩაღად მიაქანებს!

სააღერსოდ აგვედევნა
გრილი სიო ჩვენი მხარის...
სიო რაა, მტკვარი რაა,
მთლად თბილისი შემოგვხარის.

ირგვლივ გზა-გზა რას არ ხედავს,
რას არ ასწრებს ჩვენი თვალი.
გაცინებულ ლიანდაგზე
მიგუგუნებს ორთქლმავალი.

გიორგი კაჭახიძე



6904

ჯადოსნური სათვალე

ჩვენ დიდ მრგვალ მაგიდას ვუსხედით გარშემო. აქ იყვნენ ჩემი ძმებისა და დების გარდა ჩემი სკოლის ამხანაგები გივი, მიტო და სანდრო. ყველანი გაფაციცებით ვუსმენდით ჩვენი ოჯახის მეგობარს და მამაჩემის სკოლის ამხანაგს ძია გიორგის, რომელიც შემთხვევით მოვიდა ჩვენთან. იმ საღამოს მე და ჩემი ამხანაგები სასკოლო საგანს ვამზადებდით, ქიმიას. ეს საგანი ჩვენ ჯგუფს ჰირივით ეჯავრებოდა და ერთად მოვგროვდით, რომ იქნებ როგორმე დაგვეძლია და მეხსიერებაში იმდენი მაინც შეგვენარჩუნებია, რომ გამოცდაზე თავი არ მოგვეჭრდა.



— მამ, თუ დიდი ხანია რაც მეცადინეობთ, ერთი ოცი წუთი შესვენება თქვენთვის ცუდი არ იქნება და მე გიამბობთ იმ შემთხვევას, რამაც ასე მწარედ დამანანა ჩემი უვიცობა ქიმიის დარგში.

ჩვენ ყველანი სმენად გადავიქცით.

— სამამულო ომის მეორე წელს საავიაციო რგოლის მეთაური ვიყავი, სამხედრო შტაბის განკარგულებით მტრის ღრმა ზურგში გადაგვისროლეს პარტიზანული პოლკის დასახარებლად. ეს პოლკი კოვპაკის დივიზიაში შედიოდა და თავისებურ — მოხეტიალე რეიდებს აწყობდა. მთელი პოლკი თავზე-ხელაღებული ბიჭებისაგან შესდგებოდა და ხან სად ამოწყოფდა თავს და ხან სად.

— ვინ გამოიგონა ეს საზიზღარი საგანი, არაფერი არ შედის თავში, — წამოიძახა გივიმ.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში ძია გიორგი და გივის ამ სიტყვებზე გაიღიმა.

— რა იყო, ყმაწვილებო? — მოგვმართა მან. — რამ შეგაწუხათ?

გივიმ ჯერ დარცხენილად ჩაჰკიდა თავი, მაგრამ მერე, თითქო თავისთავზე მოსვლოდეს გული, ჯოუტად სთქვა:

— ნეტავ ისეთი სკოლა მომაძებნინა, სადაც ქიმიას, ფიზიკას და მათემატიკას არ ასწავლიდნენ, და ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი.

ძია გიორგიმ გაღიხარხარა. მერე მძიმედ ამოოხხრა: — ეეჰ, ეჰ, ეჰ! — წარბები შეიჭმუნა, სკამი მოიჩოჩა, ჩვენს შორის ჩაჯდა და ქიმიის სახელმძღვანელოს მისწვდა:

— მამ ამან გაგიჭირათ საქმე? მეც, მართალია, ფიზიკა და მათემატიკა მიყვარდა, მაგრამ ეს საგანი თქვენსავით ასე მეჯავრებოდა და, სკოლაში ძლივსძლივობით სამიანი რომ მივიღე, ასე მეგონა, მთელი ქვეყანა ჩემი იყო. მეც თქვენსავით ასე ვფიქრობდი, ოღონდ ეს საგანი ჩავაბარო, თავიდან მოვიშორე და მერე თავს ოათი დავასხი, ვინც ამ წიგნისკენ გაიხედოს-მეთქი. რა ვიცოდი თუ ცხოვრება ისეთ შემთხვევას შემახვედრებდა, რომ სიკვდილამდე მანანებდა ამ ჩემს დაუდევრობას.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ძია გიორგი თითქო რაღაც მძიმე ფიქრებმა წაიღო. მერე უცბათ გამოერკვა და მოგვიხარუნდა:

— მეონი, ზელი შეგიშალეთ.

— არა, ძია გიორგი, როგორ გეკადრებათ... — წამოვიძახეთ ჩვენ.

მტრის სარდლობა პირდაპირ ჰკუაზე აღარ იყო; ისე ჰქონდა გამწარებული დღე ამ ჩვენი მოხეტიალე პოლკისაგან, — მილიონებს არ დაიმურებდა, რომ ჩვენთვის ბოლო მოეღო. აი, ამ პოლკთან მომიხდა ყოფნა ჩემი რგოლით. ჩვენ პატარა ლი-მუზინები გვყავდა. ისინი კრასანებივით დაბლა ფრინავდნენ, შეეძლოთ ხელსაგულისოდენა მოედანზე დაფრენილიყვნენ; ადვილი იყო მათი დამალვა და შენიღბვა არა თუ ტყეში ან ბუჩქნარებში, არამედ ღია მინდორშიაც კი, თუ სადმე თივის ზვინი მოიბოვებოდა ან უბრალო ბადე. ასე რომ ყველაზე ხელსაყრელი იყო მტრის ზურგში მათი ყოფა, მაგრამ... ერთი პატარა „მაგრამ“ აძნელებდა ჩვენს მუშაობას. ჩვენ მხოლოდ დამო-ლაშობით შეგვეძლო გვეფრინა. მტრებზე თავდასხმა, ყუმბარების დამენა, ხალხის გადაყვან-გადმოყვანა მხოლოდ დამით შეიძლებოდა, რადგან დღისით, მართალია შეგვეძლო გვეფრინა, მაგრამ ასი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი თუ იყო ისეთი, რომ უკან ვივინებოდა დაიხრუნდებო-დით. ყოველ შემთხვევაში ბრძოლის ხაზის გადა-კვეთა დღისით ყოველდ შეუძლებელი იყო. დამით კი, როგორც მოგეხსენებათ, და ისიც მტრის ზურგში, არც ისე ადვილია ფრენა. იქ ხომ ისეთი აეროდრომები არა გვაქვს, რომელთაც სპეციალურ-გად მოწყობილი პირობითი ნიშნებით მიაგნებ, მა-რადითად, სამი მბჟუტავი სანათით — ერთი ლურ-ჯია, მეორე წითელი, მესამე თეთრი — ან სხვა ასეთივე სიგნალით. ასეთი რამის მოწყობა, ცხა-დია, ჩვენ არ შეგვეძლო. ჰოდა უკუწინეთ დამეში ეძებ ახლა შენი დასაფრენი მოედანი. შეიძლება

ისეთ ადგილზე დაფრინდე, რომ პირდაპირ ჩა-
უვარდი მტერს ხელში. ამიტომ ოპერაციებს ისეთ
დროს ვიწყებდით, როდესაც ცისკრის ვარსკვლავი
ამოსვლას იწყებდა და უკან გარიჟრაჟზე ვბრუნ-
დებოდით, რომ ჩვენი დასაფრენი მოვიდანი მი-
გვეგნო და მტრის გამანადგურებლებისაგანაც თა-
ვი დაგვეღწია. ერთხელ, კიევის ოლქის რომელი-
ღაც რაიონის ცენტრში, ახლა კარგად აღარ მახ-
სოვს, მგონი პოტიომკინოში ვიყავით. თქვენთვის
უფრო გასაგები რომ იყოს, უნდა ვითხრათ, რომ
მტრის ზურგში იყო მთელი რიგი რაიონები, სა-
დაც გერმანელებს ფეხი არ დაედგათ და იქ კიდევ
საბჭოთა ხელისუფლება სუფევდა. გერმანელებს
უბრალოდ ხალხი არა ჰყოფნიდათ, რომ ამ უზარ-
მაზარ ტერიტორიაზე თავისი გესტაპოელები
ყველგან ჰყოლოდათ. ისინი ფეთიანებით და-
ჰქროდნენ ერთი რაიონიდან მეორეში, ააწიოკებ-
დნენ მოსახლეობას და ახლა სხვაგან მოჰკურ-
ცხლავდნენ. იმ რაიონში, სადაც მაშინ ჩვენ
ვიყავით, გესტაპოელები ჯერ სულაც არ ყოფი-
ლიყვნენ. მაგრამ იმ საღამოს ქოხის კარი გაიღო
და ჩემთან სახლის პატრონი უკრაინელი გლეხი
შემოვიდა:

— გორგი ვასილიჩ, — მითხრა მან, — აქ ერთი
კაცია. თქვენი ნახვა სურს.

— ვინ კაცი? — ეჭვიანოდ ვკითხე მე.

ჩვენ ძალიან ვფრთხილობდით და ჩემთან პარ-
ტიზანული პოლკის მეთაურის ნებართვის გარეშე
და ისიც უპაროლოდ არავის შეეძლო მოსვლა.
სახლის პატრონი გაფრთხილებული მყავდა, რომ
ჩემი არსებობა მხოლოდ ისეთი ადამიანისათვის
გაემსილა, რომელიც წინასწარ ეტყოდა პაროლს.

— მე მგონია სანდო კაცი უნდა იყოს. მან
მითხრა, რომ სურს პარტიზანებთან კავშირი და-
ამყაროს, რადგან საჭიროა ერთი ძალზე საჭირო
კაცის სასწრაფოდ მოსკოვში გადაღრენაო.

კარგა ხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს გადავ-
წყვიტე წინასწარ გამაფრთხილებელი ზომები მი-

მელო და სახლის პატრონს ვუთხარი ის კაცი ჩემ-
თან მოეყვანა.

მაღე ჩემს წინ იდგა წელში მოხრილი რკინი-
გზის მოხუცი დარაჯი.

— მაპატიეთ, მაგრამ არ შემეძლო თქვენთან არ
მოვსულიყავი. — მითხრა მან. — მე რკინიგზის
დარაჯი ვარ, აკიმ პეტროვიჩ მივჩუნი. თქვენთან
ემელიან დანილოვიჩმა მომასწავლა...

ახლა მე უკვე თავისუფლად ამოვისუნთქე. ემე-
ლიან დანილოვიჩ სლივა, (სლივა ჩვენებურად
ქლიავს ნიშნავს, ხოლო უკრაინაში ხშირია ასეთი
გვარები: სლივა, ვიშნია, კაპუსტა, ბურაკ და სხვა,)
რაიონის იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო
და მას პირადად ვიცნობდი.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ვკითხე მე.
მოხუცმა მიმოიხედა, ხმას დაუწია და მითხრა:

— ჩემს სადარაჯო ჯიხურს წუხელ მოადგა
ერთი უცნობი მოხუცი. იგი დაჭრილია რამდენიმე
ადგილზე. მითხრა, პროფესორი ვარო, მეცნიერი.
საჭიროა აუცილებლად გადავიდე ჩვენების მხა-
რეზე — ამაზე ბევრი რამაა დამოკიდებულიო.
მიშველე, მომეხმარე, იქნებ მომიძებნო პარტიზან-
თა მეთაური, რომ როგორმე სასწრაფოდ გადა-
მაფრინოს მოსკოვშიო. მეც პარტიული ბიჭები
მოექებნე. იმათ ემელიან დანილოვიჩთან გამაგზავ-
ნეს. იმან კიდევ თქვენთან.

— შორსაა ის შენი მოხუცი?

— არა. აქედან ათი-თორმეტი კილომეტრი თუ
იქნება.

ბიჭები გავაფრთხილე მზად ყოფილიყვნენ,
მე კი ჩავიდე ჯიხურში ჩემი „ტიტე“, ორიოდე ყუმ-
ბარა, და მოხუცს გავყევი.

კუნაპეტი დამე იდგა, მაგრამ მოხუცი ისეთი და-
ბეჯითებით მიაბიჯებდა, რომ ძლივს ვახერხებდი
დავწეოდი. დაახლოებით ორი საათის სიარულის
შემდეგ მივალწიეთ რკინიგზის სადარაჯოს ჯიხუ-
რამდე, რომელიც შავი კუნძივით ალანდულიყო
ხნელ დამეში.

მოხუცმა კარები ფრთხილად გააღო და ორივე-
ნი ჯიხურში შევედიო.

ჯიხურში რკინიგზელის ფარანი ენ-
თო; პატრუქი ჩაწეული ჰქონდა და
იგი ოდნავ ბეუტავდა. მაინც, ამ სუსტი
შუქის მოუხედავად, მე გავარჩიე ხის
სკამლოგინზე მწოლიარე ადამიანი,
რომელმაც ჩვენი შესვლისთანავე თავი
წამოწია და იკითხა:

— ვინ არის?

— ჩვენ ვართ, შინაურები. — უპა-
სუხა მოხუცმა დარაჯმა. — აი, მო-
გოყვანეთ პარტიზანი.

ლოგინზე მწოლიარემ სცადა წამო-
მდგარიყო, მაგრამ ტკივილებსაგან
მწარედ ამოიგმინა და ისევ დაეცა
ლოგინზე.

— ვინ ხართ თქვენ? — იკითხა მან.
მე დავუსახლე ჩემი გვარი.



ყველანი სმენად გადავიქცით.



— ვინა ხართ თქვენ? — მკითხა მან. მე დავუსახელე ჩემი გვარი.

— ოჰო, თქვენ ქართველი ხართ? სასიამოვნოა. — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროლა მან სიტყვები. ცოტა შეისვენა და განაგრძო. — მე თქვენს პროფესორებს ბევრს ვიცნობ, ჯანელიძეს, მუსხელიშვილს, ჯანაშიას, თვალჭრელიძეს... ვყოფილვარ თბილისში, წყალტუბოს, საირმეზედაც ვიყავი ერთხელ... იქ მე ბევრი მყავს ნაცნობი...

მან კიდევ დასახელა რამდენიმე გვარი და აღმოჩნდა, რომ ჩვენ საერთო ნაცნობებიც ბევრი გვყოლია. ამან საბოლოოდ დაგვაახლოვა ერთმანეთს და მოხუცმა პროფესორმა გულახდილად მიამბო ყველაფერი:

— იცი რა, ჩემო კარგო, მე პროფესიით ქიმიკოსი მინერალოგი ვარ. ბევრი მეცნიერული შრომა მაქვს, ერთი გამოგონების იდეა დამებადა სწორედ იმ დამეს, როდესაც ჩვენს ქალაქს ფაშისტთა თვითმფრინავები დაესხა თავს. არასოდეს არ დამავიწყდება ის კუნაპეტი ღამე, როდესაც მათ ჯერ გამანათებელი რაკეტები პარაშუტებით დაკიდეს ცაში და შემდეგ დაგვაყარეს და დაგვაყარეს ყუმბარები. ისინი ბნელში იყვნენ დამალულნი ზეცაში, ჩვენ კი უძლურნი ვიყავით. გამანადგურებელ თვითმფრინავებს, კიდევაც რომ აფრეხილიყვნენ ცაში, რა უნდა დაეკლოთ მტრის უხილავი თვითმფრინავებისათვის. მაშინ დამებადა იდეა, რომ კარგი იქნებოდა ჩვენს მფრინავებს ჰქონოდათ ისეთი სათვალე, რომლითაც შეეძლებოდათ ღამით ყველაფერი დაენახათ.

პროფესორს ლაპარაკი უჭირდა და ჩქარა ილღებოდა. ის კარგა ხანს ითქვამდა სულს, სანამ შეძლებდა რომ ლაპარაკი განეგრძო.

— ნუთუ ეს შესაძლებელია? — გამოვიხატე მომხიბვრება, რადგან მართლაც ასეთი სათვალე მოგონება მთელ გადატრიალებას მოახდენდა სამხედრო საქმეში. წარმოიდგინეთ ასეთი სათვალეებით შეიარაღებული ჩვენი არაბთ მფრინავები, არამედ ქვეითი ჯარი, რომელსაც თავისუფლად შეუძლია უკუხეთ ღამეში თავს დაესხას მტრის ჯარს და რაგინდ ძლიერად შეიარაღებულიც არ უნდა იყოს მოწინააღმდეგე ერთ წუთში მოუძღვს ბოლოს. მფრინავებს ზომ ნულარ იკითხავ. მართალია, ახლა გამოგონილია ისეთი გასაოცარი ხელსაწყო, როგორცაა რადიოლოკატორი, რომელიც ეკრანზე უკვე ყველაფერს აჩვენებს, მაგრამ პრაქტიკულად, ცხადია, ასეთ სათვალეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება უფრო დიდი, ვიდრე რადიოლოკატორს.

— დიახ, შესაძლებელი ყოფილა, ჩემო კარგო, — მოთხრა პროფესორმა მკირე დუმილის შემდეგ, — მე აღმოვაჩინე ასეთი სათვალის დამზადების ხერხი და კიდევაც დავამზადე ერთი საცდელი ლინზა ჩემს ლაბორატორიაში. მეტისთვის მასალა არ მეყო.

— მერე სადა გაქვთ ის ლინზა. — მოუთმენლად ვკითხე მოხუცს. მოთმინება არ მყოფნიდა, მინდოდა ჩემი საკუთარი თვალთ მენახა და ამ კუნაპეტი ღამეში შემემოწმებია ეს ჯადოსნური ბროლი.

— ის ლინზა მე ჩაქუჩით დავამსხვრიე, ნამსხვრევები კი სანაგვეში გადავყარე, რადგან...

მოხუცი აღელვებამ შეიპყრო. სუნთქვას მოუხშირა, კბილები გაახრჭიალა და ზეზე წამოწევა სცადა, მაგრამ უღონოდ დაეცა ლოგინზე და კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა:

— ერთი ასისტენტი მყავდა, რომელსაც შეილივით ვენდობოდი. მართალია, იგი ყოფილი მილიტანტის შვილი იყო, მაგრამ თავი საეხსებით საბჭოთა ადამიანად ეჭირა და რას ვიფიქრებდი, რომ გამცემი და მოღალატე აღმოჩნდებოდა. მართალია, ამ გამოგონების შესახებ მისთვის არაფერი არ მითქვამს და ამ ცდებს ლაბორატორიაში ყველასაგან ფარულად ვაკეთებდი, მაგრამ მას ჩუმად უთვალთვალეობია ჩემთვის და სწორედ იმ დროს, როდესაც ღამით ჩემს ბინაში კიდევ ერთხელ შევამოწმე ეს ლინზა და დავრწმუნდი, რომ ზღოთ მეპყრა ჩვენი ჯარების ყველაზე უძვირფასესი საჩუქარი, სწორედ ამ დროს თავზე გესტაპო დამეხსა. მაშინ ისლა მოვასწარი, რომ ლინზა დავამსხვრიე და გაქცევა ვცადე, მაგრამ დამიჭირეს და თავიანთ უფროსთან წამაჩანჩალეს. უფროსმა ჯერ მუქარა დამიწყო და ცდილობდა გაეგო, თუ რა ცდებს ვაწარმოებდი ინსტიტუტის ლაბორატორიაში. მე რაღაც მოვჩმახე, მაგრამ არ დამიჯერეს და იმდენი მცემეს ამ მოხუცებულ კაცს, — ძვალი და რბილი გამისწორეს. მერე ეტყობა მიხვდნენ, რომ ამ წესით ვერაფერს გახდებოდნენ და მფარველ „ანგელოზად“ მათი გენერალი მომეველინა. მან ერთი ვაიუშველელი ასტენა, დამკითხველ პოლკოვნიკს ჩემს თვალწინ ააგლიჯა სამხედრო განმასხვავებელი ნიშნები და ყველანი დაატუსაღა. ცხადია,

მე კარგად ვხვდებოდი, რომ ეს თვალთმაქცობა იყო, მაგრამ მაინც შევეცადე ეს გამომეყენებია. გენერალმა თავისუფლება მომანიჭა, მომცა უფლება შინ დაებრუნებულიყავ, მომამარაგა სურსათით და მითხრა, თუ რამე დაგჭირდეთ, დაუყოვნებლივ თქვენი სურვილი ასრულებული იქნებაო. ამერიიდან თქვენს დატუსაღებს ან უბრალოდ შეწუხებას ვერავინ ვერ გახედავსო. წამოვედი შინ და ერთი ათიოდე დღე არც გარეთ გამოვსულვარ და თითქმის სულ ლოგინში ვიწექი. მოსამსახურეს გეკითხებოდი, აბა ერთი კარგად დააკვირდი, ჩვენს ბინას უთვალთვალენ თუ არა-მეთქი. აბა რას ბრძანებთ, მე ვერაფერს ვერ ვამჩნევო. ცხადია, რომ ეს მათ კარგად ჰქონდათ მოწყობილი. მერე ავდექი და რამდენჯერმე სხვადასხვა დროს ქალაქშიაც ვცადე გამოსვლა. არავინ, ხელი არ მახლო და პირიქით ყველანი მოწიწებით მეპყრობოდნენ. ხალხში კიდევაც დაირხა ხმა, გესტაპოელები წავიდნენ და თავისუფლად მოვიტყვიოთ სულიო. თურმე ყოველივე ეს, განგებ, ჩემი გულისთვის გაუკეთებიათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მე კვლავ განვაგრძობდი ჩემს ცდებს და შევეცდებოდი კავშირი გამეზა ჩვენიანებთან. აი, მაშინ დამაცხრებოდნენ თავზე და, რაკი ხაფანგში გავეხმებოდი, ჩემი საქმე ცუდათ იყო.

მაშინ კი გადავწყვიტე ქალაქიდან გაპარვა. ამიტომ ერთხელ დღისით-მზისით გამოველ ქალაქში

ვითომდა სასეირნოთ. შევედი ქალაქის ბაღში და ორიოდ საათი მერხზე ვთვლებიდი. შემდეგ ავდექი და ვითომ შინისკენ წაფერატუნდი. ჩემს სახლს რომ დავუახლოვდი, შეუმჩნევლად შევუხვიე ერთ მეზობელ სახლის ეზოში, საიდანაც მეორე ქუჩაში შეიძლებოდა გასვლა. გავედი თუ არა მეორე ქუჩაზე, სწრაფი ნაბიჯით გავუდექი გზას და სანამ ჩემი მოთვალთვალე გუშაგები გონს მოვიდოდნენ უკვე ქალაქგარეთ ვიყავი. როგორც ეტყობა ჩემი გაპარვა მაშინვე შეიტყვეს და თავიანთ უფროსებს აცნობეს, რადგან ისეთი ამბავი ატყდა ქალაქში, ნამდვილი ომი გეგონებოდა. ძლივს მოვასწარი ტყეში შემესწრო, რომ დავინახე, როგორ შემოარტყეს გერმანელებმა ალყა მთელ ქალაქს და ყველას, ვისაც კი თვალს მოჰკარვდნენ, ან იჭერდნენ, ან პირდაპირ ესროდნენ. არ ვიცი თვალი მომკრეს თუ რა, ჩემ მხარესაც ისროლეს და თავზე ნამდვილი ტყვიის წვიმა მაწვიმეს. აი მაშინ დავიკერი რამდენიმე ადგილას, მაგრამ სიარული მაინც შემეძლო და გზა განვაგრძე. გზადაგზა საკუთარი პერანგი დავხიე და კრილოსები შევიხვიე. არ მახსოვს რამდენი ვიარე, მაგრამ ძაღლონე რომ გამომელია, უგრძობლად დავეცი მიწაზე, ხოლო როდესაც გონს მოვედი, აი ამ ჯიხურში ვიყავი. აკიმ პეტროვიჩს ვენახე გულმელონებული, მაშინვე თავისთან შემომათარია და დამმალა.

მოხუცმა კვლავ მილულა თვალეები, მე კი მაშინვე შევედექი იმაზე ზრუნვას, რომ პროფესორი, სანამ ჯერ არ გათენებულიყო, როგორმე თვითმფრინავამდე მიმეყვანა. იქ დაღამებამდე დავიცდიდით, ღამით კი ავფრინდებოდით და გათენების უამს მე უკვე ჩვენი საზრძოლო ზაზის გადაღმა ვიქნებოდი.



... არ დამიჯერეს და იმდენი მცემეს ამ მოხუცებულ კაცს,—ძვალი და რბილი გამისწორეს.

მაგრამ ორი დაბრკოლება გვე-
ლოხებოდა წინ. ჯერ ერთი ის,
რომ მოხუცს სრულიად არ შეეძ-
ლო სიარული და საკაცით უნდა
მიგვეყვანა თვითმფრინავამდე,
სადამდეც თხუთმეტ კილომეტ-
რამდე მანძილი იყო. მეორეც ის,
რომ მოხუცი ბევრი სისხლის
დაკარგვის გამო სასწრაფო საე-
ქიმო დახმარებას საჭიროებდა,
წინააღმდეგ შემთხვევაში მას
შეიძლება ველარც კი ეცოცხლა
მანამდე, სანამ მას ზურგში გა-
დავაფრენდით.

გადავწყვიტე მოხუცი ადგილ-
ზე დამეტოვებია, თვითონ კი
წავსულიყავი და ჩვენი პარტი-
ზანული პოლკის ექიმი ქალი მო-
მეყვანა.

მაგრამ ეს შეუძლებელი აღ-
მოჩნდა. გათენების ხანს, რო-
დესაც დაღლილ-დაქანცულმა
ჩვენი პოლკის ავანპოსტებამდე
მივადწიე, იქ ბრძოლის ქარ-
ცეცხლი ტრიალებდა. მე იძუ-
ლებული გავხდი მაშინვე ჩემი
ავიარგოლისათვის მიმეშურებია.
იქ ჩვენი პოლკის მეთაურის
ბრძანება დამიხვდა, რომ რგო-
ლი საგანგებოდ მიჩენილ სო-
ფელში გადამეყვანა. პოლკი აქედან იხსნებოდა და
კოვპაკის დივიზიას უნდა შეერთებოდა. იძულებ-
ული ვიყავი ბრძანებას დავმორჩილებოდი და გა-
დავწყვიტე თამაში გეგმა განმეზოროცილებია, დღი-
სით დავფრენილიყავი იმ სადარაჯო ქოხის ახლო
და მოხუცი მომეტაცა. ამ გეგმის განხორციელე-
ბა შესაძლებლად მიმაჩნდა, რადგან სანამ მტერი
მოახერხებდა ჩვენს წინააღმდეგ თვითმფრინავე-
ბი გამოეძახებია, მე აფრენას მოვასწრებდი და, ვე-
რედწოდებულნი მცელავი ფრენით, დედამიწის ზე-
დაპირიდან დაახლოებით ოცდახუთი მეტრის სი-
მაღლეზე ვიფრენდი.

მაგრამ მივაგნებდი კი იმ სადარაჯო ჯიხურს?
მართალია, რუქაზე წინასწარ ავღნიშნე, მაგრამ რა
ვიცი სწორად ავღნიშნე? მე ხომ იქ ღამით ვიყა-
ვი.

მაინც ვაფრენდი. გადავუარე მინდვრებს,
სუჩქნარებს, პატარა ტყეებს. აი, ვხედავ რკინი-
გზის ლიანდაგს. დავხედე რუქას, ვაკვირდები მი-
დამოს. მგონი აი ეს უნდა იყოს ის პატარა ჯიხუ-
რი, ორიენტირები ასე მიჩვენებენ. მოვატრიალე
თვითმფრინავი და წავედი დასაჯდომად. ჩემს სი-
ცოცხლეში ისე მოხდენილად და მარჯვედ, ისიც
ხელისგულივით პატარა მოედანზე, არ დამიჯენია
ჩემი თვითმფრინავი. ვხედავ ჩემი მოხუცი აკიმ
პეტროვიჩი ჩემსკენ გამორბის და რაღაცას მანიშ-
ნებს. ვერ მოვასწარი თვითმფრინავიდან ჩამოსვლა,
რომ ის მოვარდა ჩემთან და მომამახა:

— ჩქარა, გარშემო გერმანელები დაძრწიან.



რამდენჯერმე ქალაქშიაც ვცაღე
გამოსვლა.

ორივენი კისრისტებით, გაბი-
ქეციით ჯიხურისაკენ, დაღვლი-
ხელი დაჭრილ პროფესორს და
თვითმფრინავისაკენ გავვარდით.
პროფესორი იღბლად საოცრად
მსუბუქი აღმოჩნდა. ალბათ,
ძალზე იყო გამსდარი და მისი მი-
ყვანა კი არა, მიტანა თვითმფრი-
ნავამდე არ გავგჭირებია. ის იყო
კიდევაც ავათრიე პროფესორი
და სამგზავრო კაბინაში ჩავსვი,
რომ გაისმა ტყვიამტრქვევის
რახრახი და ჩვენს გარშემო.
ტყვიებმა წვილი დაიწყეს.

— აბა, მოხუცო, ჩქარა, გვერ-
დით საპარაშუტო მილში შედ-
ვერი ჩქარა! — მივაძახე მე რკი-
ნიგზის დარაჯს.

მან სცაღა ეს გაეკეთებინა,
მაგრამ... კიდევაც აზუზუნდა ჩე-
მი თვითმფრინავის პროპელერი,
კიდევაც დააბრა მოხუცმა ჩემი
ბრძანება შეესრულებია და უც-
ხად ვხედავ, როგორ მოცე-
ლა უხედური ტყვიამტრქვევმა.
საღლა მქონდა მისი დრო, რომ
მასაც მივმელებოდი. გავარდა
ჩემი თვითმფრინავი მინდორზე,
ამედევნა მტრის ტყვიამტრქვე-
ვების კვალი. აი, მივჭრი, უნდა

მოვწყდე მიწას, წინ ხეები მიახლოვდებოდა. მაგ-
რამ... ავიწიე მალა და ახლა უკვე მათი ტყვიები
ჩემთვის აღარაა საშიში, მივდივარ მინამალურ
სიმაღლეზე... მოვიხედე მოხუცისაკენ—რაღაც
ძალზე უგრძობლადაა. ჩავძახე მილში:

— როგორა ხართ?

მოხუცი ძალას იკრებს და იმავე მილით მპასუ-
ხობს:

— არაფერია, არაფერი. განაგრძეთ ფრენა.

მივფრინავ, მაგრამ რატომ მცემს ბენზინის სუ-
ნი. ბენზინის ბალონი ხომ არ დაუზიანებიათ?
აი, გადავიჩიე კაბინიდან, შევიხედე მარცხენა
ფრთის ქვეშ, რას ვხედავ! ბენზინის სამი წვრილი
წყარო მოწანწვარებს. მეტი რა გზა არის, უნდა
დავსვა თვითმფრინავი, იქნებ მოვასწრო და დაზიან-
ებულ ბილონი შევაკეთო. მაგრამ სად დავჯდე-
ბი არ ვიცი. გადავხედე მიდამოს, თითქოს საიმე-
დოთ ჩანს, უკაცრიელი მინდვრებია. ამოვიჩიე
ადგილი და დავსვი თვითმფრინავი. მიმოვიხედე,
სწრაფად ამოვხტი კაბინიდან, გავედი ფრთაზე და
დაზიანებული ადგილები მაგრად დავეძანე.

— როგორა ხართ? — ვკითხე მოხუცს.

მოხუცმა ღიღის გაქირვებით გაახილა თვალი და
აკითხა:

— მივედით?

რა დროს მისვლა იყო, სულ ათიოდე კილომეტ-
რი თუ მექნებოდა ნაფრენი.

— ჯერ არა. — ეუპასუხე მე. — თავს როგორ
გრძნობთ?



— ძალიან ცუდათ. მე ვფიქრობ ყოველი ჩვენი ცდა უნაყოფო იქნება...

უკანასკნელი სიტყვები ძლივს გავიგონე. სასწრაფოდ ჩავძვერი ჩემს კაბინაში, მაგრამ მოხუცმა კაბინაზე მოაკაკუნა და თავისკენ მიმახედა.

— მოდი ახლოს, — მითხრა მან.

მივბრუნდი და მის კაბინაში თავი გადავყავი.

— თქვენ, ალბათ, ქიმია გისწავლიათ? — მკითხა მან — თუ ოდნავ მაინც იცით, მაშინ ეცადეთ ზეპირად დაიმახსოვროთ ის ფორმულა, რომელსაც ახლა გეტყვით....

მე უბის წიგნაკს ვეცი, მოვემზადე ჩასაწერად, რადგან ქიმიაში აბსოლუტურად არაფერი არ გამეგებოდა. მოხუცმა კი გამაფრთხილა:

— ჩაწერა არ შეიძლება. აქ მტრის ზურგში ვართ და შეიძლება მოულოდნელად მტერს ხელში ჩაუვარდეთ. ზებირად უნდა ისწავლოთ.

— შევეცდები.

— თუ ქიმიდან ცოტაოდენი რამ მაინც გახსოვთ, სულ ადვილი დასამახსოვრებელია.

მოხუცს ლაპარაკი უჭირდა და მე მეექვსეხზოდა, რომ იგი ზოლომდე შეძლებდა ეთქვა ჩემთვის ამ ძვირფასი გამოგონების საიდუმლოება. ახლა გამოტყვისთ უნდა ვითხრათ ისიც, რომ უბის წიგნაკი და ფანქარი იდუმალ მაინც მოვამზადე. მოხუცის შემხნევლად მინდოდა ჩამეწერა მისი ნაკარნახევი.

— ჩემი ლინზა სამი შრისაგან შესდგება, — ჩურჩულებდა მოხუცი. — პირველი შრე საგანგებოდ დამზადებული პეზოკვარცის და...

აქ, ყმაწვილებო, უნდა გამოეტყუე ჩემს უბედურებაში. ჩემს ქიმიის უცოდინარობას დაერთო ის, რომ საოცრად მეჩქარებოდა და ყოველივე, რაც მითხრა მოხუცმა, არეულად ჩავწერე. მის ნათქვამს ვერ ვეწეოდი და ზოგი რამ მისი ნათქვამიდან გამომჩრა. ამაში იყო მთელი უბედურება. მოხუცმა ამიხსნა, რომ ლინზა სამი შრისაგან შესდგებოდა და მისი მოქმედება დაფუძნებული იყო იმაზე, რომ თითოეულ ამ შრეს თანმიმდევრობით შეეძლო ჩვეულებრივად ჩვენი თვალისათვის შეუგრძნობი, მოკლე ან გრძელტალღებიანი სხივები, განსაკუთრებით ისეთი სხივები, რომელიც ლამით უხვადაა, ხოლო ჩვენი თვალი კი მას ვერ ითვისებს, იმ სიდიდის ტალღიან სხივებზე გადაემუშაება, რომელიც დღის სინათლეს უახლოვდება. ამგვარად, შესაძლებელი ყოფილა არათუ ჩვეულებრივი ლინზის

სინათლის ძალის გაძლიერება, არამედ ლამის უხელო ლავი სინათლის გადამუშავება ჩვეულებრივ, რალოდ დამზადებული ლინზის საშუალებით. თურმე ზოგიერთ კრისტალს ჰქონია ამის უნარი. მაგალითად, ინფრაწითელი სხივების ან ულტრა იისფერი სხივების ტალღები, ან კიდევ ჩვეულებრივი რადიოტალღები, რომელიც სინათლის სხივის სახესხვაობას წარმოადგენს, ასეთ კრისტალს შეუძლია გარდაქმნას ჩვენთვის ხილულ ჩვეულებრივ სხივებად. ხოლო თუ ჩვენ წინასწარ შევისწავლით ლამით რომელი სხივებია უფრო მუდმივი და იძლევა საგანთა გამოსახულების ანარეკლს, ხოლო შემდეგ დავამზადებთ ასეთი სხივების დამკვერ ლინზას, მაშინ უკუნეთ დამეში ამ ლინზით რომ გავიხედოთ, ყველაფერს დღის სინათლით გაშუქებულივით დავინახავთ. ერთი სიტყვით, მოხუცმა ეს ამიხსნა, მე თითქო ყველაფერი ჩავიწერე, მაგრამ ვერც კი მოვასწარი თავიდან გამეფორებინა ყოველივე და ჩანაწერი შემემოწმებინა, რომ მოხუცმა სული დალია.

ძია გიორგი დადუმდა. ჩვენ ყველანი სულგანაბრული ვუსმენდით მას და გულდაწყვეტილებამ ვკითხეთ:

— მერე ის ჩანაწერები?

— ნუთუ არ მიიტანეთ?

— როგორ არა, — გვიპასუხა მან, — მოსკოვში ჩავიტანე. საუკუთესო ქიმიკოსები ჩაუხსდნენ მის ამომიფვრას, მაგრამ მითხრეს აქ ისეთი დაუშვებელი შეცდომები მოგსვლიათ, ისე არასწორად დაგწერიათ ყოველივე და ისეთი რამეები გამოგჩვენიათ, რომ ამით რაიმეს გაგება ყოველად შეუძლებელიაო. ამ ჩანაწერების გასახსნელად ახალი ამომხსნელი ან გამოგონებელი უნდა დაიბადოსო. რა მოუვიდა იმ ჩანაწერებს მერე აღარ ვიცი. ეს კია, რომ ასეთი სათვალე ჯერ არ უნდა იყოს მგონი გამოგონილი. ასე რომ, ყმაწვილებო, რყუილუბრალოდ შეგიძლებიათ ეგ საგანი. ცხოვრებაში ნურავინ ნუ იტყვის ესა თუ ის საგანი არ დამკვირდება, ან არ გამოძადდებაო. მე ვირჩევთ გულდასმით ისწავლოთ ეგეც, ისტორიაც, უცხო ენებიც, ფიზიკაც და მათემატიკაც, რადგან ვინ იცის ვის სად დაგვირდებათ თქვენი ცოდნის გამოყენება და, თუ ყოველი საგანი კარგად გეცოდინებათ, ჩემსავით თავი არ მოგეჭრებათ. მე სხომ ეს ჩემი შემთხვევა სიკვდილამდე მეყოფა სადარდებლად.



მ ო გ ზ ა უ რ ე ბ ი

გადმოვიარეთ მინდვრები, ჩამოვუარეთ მთასა;
ბაღები შეგვხვდა, იმდენი არ გვინახია არსად.
წვიმდა და გადაიდარა, მზე პირს იბანდა მგონი,
ავანშიანეთ მიდამო სიმღერითა და დოლით.
რამდენი მთები ყოფილა, მათი დანახვა გვალხენს;
ვნახეთ ლამაზი სოფლები და ძველი ციხეც ვნახეთ.
ქარი მოგვყვება მეგზურად, არ დაიღლება, ალბათ...
ლამე კოცონის გარშემო ვყვებით გუშინდელ ამბავს.
გარვლის ცხელი ზაფხული, დავუბრუნდებით თბილისს,
დაგვჩიება სასიხარულოდ მოგონებები ტკბილი.

ქარლო კობაკიძე



ბ ა ნ ა კ შ ი

თქვენს სიმღერას და დოლის ხმას იმეორებენ ტყეები,
შემომნთებისხარტ, ვით მაისს წითელი ყაყაჩოები.
სამშობლოს ზეცის ლაყვარდი კაშკაშით გადაგფენიათ,
ეს ქალაქები, სოფლები, ზღვა და ხმელეთი თქვენია.
თქვენ დამავიწყეთ ჭაღარა, მგონია არ დავბერდები,
წითელ ყელსახვევს მოვიხვევ, თქვენსავით მზედ ავენთები.
არ ჩამოგრჩებით, სამღერლად მეც ყელი მომიღერია...
იხარეთ, იბედნიერეთ, თქვენს გზას ვარდები ჰფენია.

მირონ სურგულაძე

მ ფ ყ ე მ ს ე ბ თ ა ნ

არ წკრიალებენ სკოლის ზარები,
სდუმან, მათი ხმა აღარ გვახარებს;
დღეს ზურგჩანთებით მივემგზავრებით
ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა მხარეს.
სადაც შურთხის ხმა ჭიუნს ალაღებს,
სადაც იზრდება არწივთ მართვები, —
ცხვარი მიჰყვება მთის იალაღებს,
ჩვენც სწორეთ იქით მივემართებით.
მივდივართ მთებზე, სადაც ქათქათებს
თუში მწყემსების თეთრი ფარები,
ჩვენ მათ კარვებში ღამეს გავათევთ,
მათ ნაბდის კალთებს შევეფარებით.
მწყემსებს საჩუქრად წიგნებს გადავცემთ,
რომ წაიკითხონ დიდი ამბები,
მერე გადავალთ სხვა იალაღზე
და სხვა მწყემსებთან დავბინავდებით.
ტბათანისა და გარეჯის გარდა
ვნახავთ მასარას, მორთულს ღრუბლუებით,
ასე მოვივლით ყველა მთის კალთას
და ბოლოს სკოლას დავუბრუნდებით.



მიდენიან მწყემსნი ფარას

ცა ნათდება...
ბინდი ქრება...
იას ლურჯი თვალი შვენის
და ცხრათვალა მზეზე შრება
ღრუბლის სველი ბალიშები.
მწვანე ბალახს ცვარი ფარავს
და შრიალი ისმის ფოთლის.
მიდენიან მწყემსნი ფარას
და ბილიკებს ასდის ორთქლი...
მიდენიან მწყემსნი ფარას
მთიდან მთაზე შეკვივლებით.
თითქოს ნისლეზს რქებით ფატრავს
თეთრი, თეთრი ჭედლილები.
გადიარა მთებზე წვიმამ,
სადაც კვენისი სალამური
და მიშხუის კლდეში წვრილად
ჩაკარგული
ნაკადული...
გადიარა წვიმამ თქეშად,
მთებს ოქრო და ლალი შვენის...
და ცხრათვალა მზეზე შრება
ღრუბლის სველი ბალიშები.

შალვა უორჩხიძე

პალკიან ჩუკრიძე



პიონერული ახალი ამბები

მეგობრობის ზეიმი



თბილისში ცხელა, ზაფხულის პაპანაქებაა. პიონერთა სასახლიდან ავტობუსები დაიძრა. ისინი მხარული სიმღერა, ეს, თბილისის პიონერთა სასახლის აქტივი წყნეთში მიემართება ამიერკავკასიის რეი-

ნიგზის პიონერთა ზანაკში.

აქ მეგობრობის ზეიმზე მოუყრიათ თავი მეზობელი ბანაკის პიონერებს. ისინი ერთმანეთს უზიარებენ საქანაკო ცხოვრების შთაბეჭდილებებს. ფრენბურთის მოედანზე შეჯიბრია. ერთგან მაგიდას შემოსხლომიან პიონერები და ჩაფიქრებული ჩასცქერიან ჭადრაკის დაფებს: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში გოგონათა შორის მანანა ტოგონიძე ერთდროულ სეანსს ატარებს. გაისმა მქუხარე ტაშა. ესტრადანზე ერთმანეთს ცვლიან სტუმრები — მსახიობები: პ. კობახიძე, მ. ჩახავა, ი. ტრიპოლსკი, ტ. საყვარელიძე, ე. ყიფშიძე, ე. ციმაკურიძე.

მსახიობებს შემდეგ პიონერებმა უჩვენეს თავიანთი მხატვრული შემოქმედება. ახლა სტუმრებში უკრავდნენ ტაშს ნორჩ შემსრულებლებს. გვიან საღამომდე არ შეწყვეტილა პიონერთა ზანაკში ცეკვა და სიმღერა.

ლაშქრობა ციხეზე



დილის ჰაერა პიონერული საყვირის ხმამ გააპო. რაზმეული სწრაფად მოეწყო. ავიაციის მუშაკთა კოჯრის პიონერთა ზანაკში დიდი ხანია ემზადებოდნენ სახელგანთქმულ კოჯრის ციხეზე სალაშქროდ, მწყრივად, სალაშქრო წესით მიემართებთან პიონერები. ისტორიული ადგილისაკენ. წინ რაზმეულის დროშა მიუძღვით, დრო და დრო გაისმის ლაუდაფის ხმა. აი, ჰორიზონტზე ამყად აზიდული ციხე თანდათან მოახლოვდა. უკვე შესამჩნევი გახდა ციხის დაღარული ქონგურები.

შესვენების შემდეგ დაიწყო ციხის „დალაშქრა“. წინ გაიჭრნენ პიონერები ო. ორახიაშვილი, დ. გაბადაძე და სხვები.

მამაცი პიონერები

იმ დღეს ქარიანი ამინდი იყო. ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშევეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები რომან და ჯემალ კეპულაძეები თამაშით იყვნენ გართულნი. უცებ რომანმა თამაშს თავი ანება და აღელვებით წაწოიძახა:



— ჯემალ შეხედე, ოლია კეპულაძის სახლის ბუხრიდან ცეცხლის ალი ამოდის... სახლი იწვის...

და ორივე სწრაფად გაიქცა იქით. სახლის სახურავს ალი თანდათან ედღებოდა, ხანძარი საშიშროებას უქადალა მეზობლებს და კოლმეურნეობას.

ჯემალი კოლმეურნეობის სახანძრო რაზმის გამოსაძახებლად გაიქცა, რომანმა კი ცეცხლმოკიდებული სახლის კარი შეამტვრია და აკვნიანი ზავში გამოიყვანა. შემდეგ ავეჯის გამოტანას შეუდგა. ამასობაში მეზობლები მიეშველნენ, მალე მეხანძრეებიც მოვიდნენ და ხანძარი მთლიანად ჩააქრეს.

მამაცმა პიონერებმა გოგონა და სახლი დაწვას გადაარჩინეს. კოლმეურნეობის გამგეობამ ისინი ფულადი ჯილდოთი დაასაჩუქრა, ხოლო სკოლის დირექციამ მადლობა გამოუცხადა თავის აღზრდილებს.

ს ა ჰ ა ტ ი ო ჯ ი ლ დ ო

გასულ წელს ნაფარეულის საშუალო სკოლის ნორჩი მიჩურინელები მეხალეთა საკავშირო კონკურსში ჩაეხსნენ. ნორჩებმა სკოლის ნაკვეთი სანიმუშოდ დაამუშავეს.



მეთექვსეულმა ტელმან ზასილაშვილმა შარშან ნამყენისათვის 110 ხეხილის საძირე გამოიყვანა: მანვე 30 ატმის და 5 თუთის ხე დაამყნო, გააჩარა და სკოლას გადასცა. ტ. ბასილაშვილმა შარშან სოფელ გულგულის კოლმეურნეობაში 2.000 ძირი თუთის ხე დაამყნო და 90 შრომადღე გამოიმუშავა.

საკავშირო ალკც. ცენტრალურმა კომიტეტმა ისინი სცნო ნორჩ მეხალეთა საკავშირო კონკურსში გამარჯვებულად და II პრემია მიანიჭა.

უფროსი და

მე და ჩემი უფროსი და მაგიდის ჩოგბურთის ვთამაშობდით. რასაკვირველია, ჩემი და მაგიდის ჩოგბურთი სულ ისეთი როდია, როგორც მამასთან სამსახურში ვნახე; არა, მას სიდიდით ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვიშლის ხელს ხანდახან გავერთით.

დას საზეიმოდ ეცვა, თმაც მოკლედ შეეკრიჭა, შიგ თეთრი ყვავილები ჩაეწნა და ისე ფრთხილად სტოდა, რომ კაცი იფიქრებდა ქვედა სართულში მცხოვრები აბუზარი მუზობელი არ უნდა გააბრაზოსო. მე კი კარგად ვიცოდი: მას ყვავილების დაცვენისა ეშინოდა.

მე დას ყოველთვის ვუგებდი. მაგრამ დღეს მისი დაბადების დღე იყო, ჩვენს ირგვლივ სტუმრებს შევერათ რკალი და ამიტომ სრულებითაც არ მსურდა მისთვის მეჯობა. მით უმეტეს, ყოველთვის ვამყოფ უფროსი დით. ის პატვისსაცემი გოგოა, პირველ კლასიდან სულ ხუთოსანია, კომკავშირშიც მიიღეს და კიდევ ბევრ საზოგადოებრივ დაჯილდებას ასრულებს.

ერთი რამ ვერ ამიტანია: ნინა, სხვა გოგონებისა არ იყოს, ცოტა მეტიჩარაცაა, ჩემს საქმეებში ყოველთვის ცხვირს ყოფს და ამას მაშინაც კი აკეთებს, როცა არავინ ავალუბს. აბა, თუ ის მეტიჩარა არაა, რა მისი საქმე იყო ჩემსა და ლილის საქმეში რომ ჩაერია!


მე ლილის წიგნი დავუხიე.—კარგად არ მახსოვს, რომელიდაც კინოს შესახებ ვდავობდით. ლილი ხმამაღლა გაჰყვიროდა. საერთოდ ის ყოველთვის ჩემს საწინააღმდეგოს ამტკაცებს. პოდა, უფერად თქვა:

— ნოდარ, გუშინ ერთი მოთხრობა წავიკითხე, იქ ერთი ბიჭია — ანდრიუშა — სწორედ ისეთი ხარ, ჯიუტი, არაგულწრფელი... გინდა ვათხოვებ. — და ზღაპრი რაღაც ყვითელქუდიანი წიგნი მომაჩვენა.

მე ბევრი აღარ მიფიქრია, გაგბრაზდი, აბა სხვანაირად როგორ შემეძლო — მან ჯიუტი და არაგულწრფელი მიწოდა. წიგნს ხელი დავავლე და დავხიე, თუმცა რა დავხიე, მხოლოდ ყდა შემოვაცალე, ისიც სანახევროდ მოხეული ჰქონდა...

ეს იყო და ეს! ვნახობთ, მეორე დღეს პიონერხელმძღვანელი ზურაბ ევაძე მეძახის. ეს ის ზურაბია, რომელმაც ერთხელ ჩვენს საკლასო ოთახში ივანე ჯავახიშვილის სურათი ისე დაჰკიდა, რომ სკამიც კი არ მიუღვამს. საქმე გართულდა და ბოლოს თავი კომკავშირის კომიტეტშიც კი ამოგყავი,

სადაც ჩემდა გასაოცრად დას წავაწყდი.
— ნინა, შენ აქ რას აკეთებ? — ვკითხე შეცბუნებულმა.
— შენს საქმეს ვარჩევთ.
— ჩემს საქმეს?!



ოთხი ბურთი გავუშვი, მან უკვე სამით გამისწრო.

* — დიახ, ვაჰბატონო, ამ ბოლო დროს ინკვიზიტორობაც დაგიწყია.

მართლაც. იმ დღეს ჩემი საქმე გაარჩიეს: გამლანძღეს. პირობა დამადებინეს, რომ მეორედ ასეთ რამეს აღარ ჩავიდინდი.

საღამოს მარჯვნივ ვკითხე თუ რას ნიშნავდა სიტყვა ინკვიზიტორი. მამამ განმიმარტა და მე მიგვგდი, რომ ნინამ ძალიან დიდი ბრალდება წამოიჩვენა. მე მეგონა ლილისთან ჩხუბი ამით დამთავრდა, მაგრამ მოგტყუვდი. ცოტა უფრო გვიან შევატყვე — სკოლაში ბიჭები გამირბოდნენ. ცალკე ჯგუფებად იკრიბებოდნენ და, მე რომ დამინახავდნენ, იცინოდნენ. დავეჭვდი, მაგრამ ვერ მიგვგდი რა მქონდა სასაცილო. იმ დღეს ლილიმ გაკვეთილზე მუჟღუბუნი წამკრა და ჩურჩულით მითხრა:

— დასვენებაზე პიონერთა ოთახში ადი, ახალი კედლის გაზეთი გამოვიდა და წავიკითხე.

კედლის გაზეთი ჩვენთან თვეში ორჯერ გამოდის; სხვა დროს ლილის მისი გამო-


სვლა ჩემთვის არ უცნობებია. გულმა სხვანაირად გამკრა. როგორც კი ზარი დარქკეს ზევით ავედი, წავიკითხე კედლის გაზეთი და იქ შევეჩვიე სვეტში, სადაც, ჩვეულებისამებრ, ყველაზე მწარე მასალებს ბეჭდავენ, ჩემი გვარიც ამოვიკითხე და არა მართო გვარი, კარიკატურაც კი იყო.

...ნინას მიერ დარტყმული ოთხი ბურთი გავუშვი. მან უკვე სამით გამისწრო. კიდევ ორი გავუშვი. ის მიხვდა, რომ განგებ ვთამაშობდი ცუდად. მოულოდნელად თამაშს თავი ანება.

— ნოდარ, შენ ჩემზე გაცილებით უკეთ თამაშობ, ახლა რატომღაც თავს იკატუნებ. ეგ არ არის კარგი, მატყუარა არ უნდა იყო... თქვა მან და ჩოგანი მაგიდაზე დაო.

— ზურაბ, თქვენ ითამაშეთ, მე დავილაღე, — მიმართა დამ ჩვენს პიონერხელმძღვანელს.

მეწყინა, მაგრამ რა უნდა მეთქვა, ისევ გაჩუმება ვარჩიე. არც პიონერხელმძღვანელი გამოდგა მაგიდის ჩოგბურთში ჩემს დაზე უფრო ძლიერი. მე ისიც ადვილად დავამარცხე, მაგრამ გვიან, როცა გამხიარულებული სტუმრები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, დამ მამის კაბინეტში გამიხმო.



ახალი რა გავაკეთოთ?

ზურაბ ლორთქიფანიძე

— ნოდარ, შენ ძალიან თავხედი ხარ, არ იცი უფროსებთან თავი როგორ დაიჭირო, ეჩრები ყოველგვარ საუბარში... მაშინაც კი, როცა კაცი არაფერს გკითხავს, ასე ცუდი ბავშვები იქცევიან.

მითხრა მან ისეთი ტონით, როგორც ჩვენი კლასის ხელმძღვანელი პატივცემული ქსენია ლაბარაკობს.

— აი, ეს კიდევ ახალი ამბავი, შენ ყოველთვის უცნაურ ბრალდებებს მიყენებ, მლანძღავ. განა ასეთი ცუდი ვარ!

— ეგ არ მითქვამს, რომ ცუდი ხარ, მაგრამ შენს მოქცევაში ბევრი რამ ცუდია.

დღით, როცა გავიღვიძე, ნინას გამამხნევებელი ვარჯიში დაემთავრებინა, ჩაეცვა და მკერდზე კომკავშირის ნიშანს იმაგრებდა. თვალი გავადევნე სამკერდე ნიშანს. ლილის სიტყვები მომაგონდა: „ჯიუტი და არა გულწრფელი ხარო“. დას კაბაზე მოვქაჩე.

— ნინა, კომკავშირში ჯიუტებს და არა-გულწრფელებს ღებულობენ?


დამ დაუსტინია.

— ნინა, მე ანას სერიოზულად გეკითხები. მან გადაიკისკისა, მერე შემომხედა.

— დიახაც, რომ არ ღებულობენ!

მისმა ხმამ ისე გაიწვრიალა, როგორც ჩვენი სკოლის დარაჯის საბას ზარი წკრიალებს ხოლმე გაკეთილის გამოსვლისას. (ბაბუა საბას ბიჭები სულხან საბასაც ეძახიან. ალბათ, იმიტომ, რომ მას დიდი წვერები აქვს. მაშის კაბინეტში კიღია სულხან-საბას სურათი).

როცა ნინა წავიდა, დიდხანს ვიფიქრე. ვიფიქრე და გადავწყვიტე: აღარ ვიყო ჯიუტი, აღარ ვიცულქო, სკოლაში არ დავიგვიანო და არც წიგნები დავხიო—მაღე მეც ხომ უნდა შევიდე კომკავშირში!



მახსოვს, ერთხელ ზღვას ვეწვიეთ და ნიავი ჰქროდა ზღვიდან; მზე, ღრუბლიდან გამოსული, ჩვენს გარშემო ნათელს ღვრიდა. ვთამაშობდით და ვლაღობდით გულით მხნე და ჯანმრთელები; შემოვქარგეთ ზღვის ნაპირი პ. წაწინა ნატერფლებით. უცებ გვში შევამჩნიეთ, თან მოხდევდა გუნდი მერცხლის, მოაპობდა უზარმაზარ ტალღებს ქოჩორშემოვერცხლილს. ჩვენ დავფუქრდით, პატარები, გულში ნატვრა სხივად გვენთო... აი, გემი ზღვაზე ცურავს, ახალი რა გავაკეთოთ?..

მახსოვს, როცა აქშინებულ მატარებელს ვიხილავდით, გავყურებდით იმის ქროლვას სადგურიდან შორს... ხიდანმდი. გვახარებდა სახურავი ზოგჯერ თოვლით დაჭირხლული, ვაგონების სიგრძე, სიგრძე კილომეტრზე გაჭიმული. მაგრამ ნატვრაც თანა გვდევდა, გულში ფიქრი შუქად გვენთო: აი, უკვე ესეც არი, ნეტავ, სხვა რა გავაკეთოთ!..

მახსოვს, ერთხელ თვითმფრინავმა გადასერა კაბადონი, მოლივლივე სივრცეები ლურჯი ფერით დაანათოვი. მახსოვს, მაღლა სულ პირველად გაიბერა თეთრი ბუშტი—

თვითმფრინავის ფრთიდან კაცი ჩამოეშვა პარაშუტით. თვითმფრინავმა გადიქროლა, შრიალებდნენ სერზე ხენი, მწამს, ჯავრობდნენ არწივებიც— გავჩინდაო მეტოქენი. ჩვენც ვჯავრობდით — თვითმფრინავი ზეცას კვთოდა დიდი ფრთებით — ქვეყანაზე ამის შექმნაც დაუხწრიათ,—გუბუტუბუტებდით.

ესეც მახსოვს, შინ და გარეთ ქება იყო საოცარი, სათაყვანო წიგნად ჰქონდათ დიდი „ვეფხისტყაოსანი“. სიტყვას ისე არ იტყოდნენ, ვით ალათი, როგორც წესი, შიგ შეუკავით არ ჩიერთოთ რუსთაველის ბრძნული ლექსი. ჩვენც ვუსმენდით პატარები, ჩვენც გვჯავროდა სიტყვა ბრძენის, და ვფიქრობდით: რაღა დარჩა ქვეყანაზე დასაწერი...!

რა ტკბილია მოხაგონრად გულმურყვილო ეს ფიქრები! ჩემს ბავშვობას რომ ვიხსენებ, რაღაც ურთოვლით შევირბენვი. რა ვიცოდით ჰე, ბავშვებო, რა ვიცოდით, აბა მაშინ, რომ ბევრია საოცნებო ულამაზეს მთა და ბარში. რომ ბევრია სავაჟაკოდ სივრცეებში დასაკვსი, რომ ამ ქვეყნად არ იღვევა სასახელო ასპარეზი...!

ადრეული განთიადი

ცნობილმა რუსმა საბავშვო მწერალმა ლევ კასილმა დაწერა წიგნი „ადრეული განთიადი“. წიგნი მაგვითხრობს ამავეს ნორჩი მხატვრისას, რომელიც უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა 1948 წლის 12 აგვისტოს, 15 წლის ასაკში. მოსკოვის საშუალო სამხატვრო სკოლის მოსწავლის კოლია დმიტრიევის ნამუშევრები არაერთხელ იქნა გამოფენილი დედაქალაქის ცენტრალურ დარბაზებში. შემდეგ გამოფენა მოეწყო ლენინგრადში. ეს გამოფენა ყველგან იწვევდა მნახველთა უდიდეს ინტერესს. სპეკილისტების აზრით ის იყო ბრწყინვალე ტალანტი. თხუთმეტი წლის მხატვრის ნამუშევ-



რებში, რომელმაც ის-ის იყო დაიწყო თავისი გზა ხელოვნებაში, იგრძნობა მიმდევრობა დიდი რუსი მხატვრების, კერძოდ ვ. სეროვის ტრადიციებსადმი. უნაკლო გემოვნება, შემოქმედებითი გაბედულება და მასთან ერთად უდიდესი სიბრძნითე მუშაობაში, — აი მეტნაკლებად განმასხვავებელი ნიშნები ამ ნორჩი ტალანტისა.
ლ. კასილის წიგნში სიყვარულითაა დახატული კოლია დმიტრიევის რომანტიკული სახე.

„ადრეულ განთიადს“ ქართულ ენაზე თარგმნის ბ. შელია. „საბლიტგამი“ მას მალე გამოცემის ცალკე წიგნად. ვებქდავთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

გზა ბედნიერი!

მიუხედავად არდადეგებისა, კოლია კირა სუზდალცევასაც კი იშვიათად ხვდებოდა. შემოდგომამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, საჭირო კი იყო კარგად მომზადება, რომ გამოცდებზე არ შერცხვენილიყო. ამბობდნენ, ძალიან დიდი კონკურსი იქნება, მხოლოდ ყველაზე საუკეთესოებს მიიღებენ და ამიტომ მკაცრი შერჩევა იქნებაო. სამხატვრო სკოლასთან ინტერნატიც იყო გახსნილი სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებისათვის; აქ შედიოდნენ არა მარტო მოსკოველი ბავშვები, არამედ ჩამოსულებიც.

კირა არ ეკითხებოდა კოლიას, როგორ მიდიოდა მეცადინეობა ანტონინა პეტროვნასთან. იგი ხედავდა, რომ კოლიას ამ

თემაზე ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. სხვა გოგონებივით არასოდეს არ თხოვდა ჩიხატა მისთვის „აღბომში პეიჯაში“, მაგრამ უხაროდა, როდესაც კოლია თვითონ აჩვენებდა თავის რომელიმე ნახატს. და კოლიას მოსწონდა, რომ მისი მეგობარი არ ოხრავდა, აღტაცებას არ გამოთქვამდა, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ნაცნობი, არამედ უბრალოდ უყურებდა ინტერესით, პატივისცემით, ერთი წუთით გაირინდებოდა, შემდეგ სულს მოითქვამდა და უსიტყვოდ, მაგრამ მოუქერდა მის ხელს. იგრძნობოდა, რომ ახარებდა მისი წარმატება. საერთოდ, კირას და კოლიას სტუმრად ყოფნისა თუ სეირნობის დროს სასკოლო მეცადინეობების შესახებ ლაპარაკი



პეიჯაში (ხეტი)

ნახ. კოლია დმიტრიევისა.

ზედმეტად მიანდათ. აბა, თავის გამებს ხომ არ დაუქრავდა კირა, ანდა პეიჯებს, რომელსაც მას ნუსიკის მასწავლებელი აძლევდა, საკლასო დავალებას ხომ არ წაუკითხავდა კოლიას ხმამაღლა... ლაპარაკობდნენ წაკითხულ წიგნებზე, პიონერულ ლაშქრობებზე, ახალ კინოსურათებზე, ფრონტებზე, რომლებიც ბრუნდებოდნენ, და რომლებსაც საზეიმო შეხვედრებს უწყობდნენ, მოსკოვის ვაგზალზე, სპორტზე, ათასგვარ საოჯახო და უბანში მომხდარ ახალ ამბებზე. ერთი სიტყვით, ყველაფერზე, გარდა მეცადინეობისა. ამაზე ზაფხულში ლაპარაკი მიღებული არ იყო.

კოლია ყოველთვის კარგად და მხიარულად გრძნობდა თავს სუზდალცევებთან. იგი დაუმეგობრდა ორივე დას, კარგად ეგუებოდა ლოყაწითელ ხითხითა ნადიუსას, რომელსაც მუდამ ათასგვარი მონაგონებით ჰქონდა თავი სავსე, ყოველთვის რაღაც საინტერესოს წამოაწყებდა: ან თამაშს თორმეტი ჩხირით, ან „შტანდარს“, რაც შემდეგში მდგომარეობდა: უნდა აგვედო რაიმე საგანი, გეყვია „შტანდარ“ და,

ანამ იგი დაეარდებოდა, უნდა მოგესწრო მირ-
ბენა დანიშნულ ადგილამდე; ანდა კოლიასთან
ერთად გაყავდა ტროლიზების ხაზი — გაქი-
მავდა ჩვეულებრივ, თეთრეულის გასაფენ თოქს,
უნდა გერბინა ამ თოქის გასწვრივ, ზალა აწე-
ული, გაშლილი ხელისგული კი თოქზე უნდა
გქონოდა მიდებულნი... კირაზე ხომ ლაპარაკიც
ზედმეტია, ისინი უკვე დიდი ხანია მეგობრები
გახდნენ, ერთგული, საიმედო მეგობრები, რო-
მელთაც უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთის.
როდესაც შინ დედა ეკითხებოდა „ბა, როგორ
არაინ შენი მწვანე გოგონები?“ კოლია ჩვეუ-
ლებრივ უპასუხებდა: „გაჩინა ვინ“. დედა
აზუსტებდა: „აი, მაგალითად, კირა“. საწყალი
კოლია საშინლად წითლდებოდა. კირაც, როდე-
საც შინ ეკითხებოდნენ იმაზე, თუ რას აკეთებს
კოლია დამიტრევი, წითლდებოდა.



ც ხ ე ნ ე ბ ი (ფანქარი) ნახ. კ. დამიტრევისა.

14 ივნისს, კირასი და დედამისის ყირიმში
გამგზავრების ცოტა ხნით ადრე, სუზდალცე-
ვებთან გამოსახბოვარი საღამო იყო. ვიქტო-
რინს არ დაუძახეს, უენჩას დაპატიუება გადა-
წყვეტილი იყო, მაგრამ მას უეცრად წაეჩხუბა
თავქეიჯა ნადია. კოლია ცდილობდა მოეგვარე-
ბინა საქმე, საქმე კი სულ უბრალო რამეში იყო... ყვე-
ლაფერი ჩოგბურთის თამაშიდან დაიწყო, სადაც ნა-
დიამ ბრალი დასდო უენჩას, რომ ეს უკანასკნელი მას თამა-
შის დროს ბურთს არაკეთილსინდისიერად აწვდიდა. აქედან
დაიწყო და დაიწყო... გაიხსენეს რაღაც წუნეაც. ბოლოს უენ-
ჩამ განაცხადა, მიმიფურთხება გოგონებთან რაღაც საღამო-
ებზე... ერთი სიტყვით, კოლიას მარტო მოუხდა წასვლა.

მას, რასაკვირველია, სწრაფად გადაავიწყდა ყოველგვარი
უსიამოვნება. სუზდალცეებთან მხიარულება იყო. ბევრი
იცივნეს, ითამაშეს შარადები, უსასრულოდ უკრავდნენ პატე-
ფონს, უკვე მეოცედ დებდნენ ფირფიტას, „ბარონ ფონ
დერ პშიკი“. კოლიას ხუშტურმა მოუარა, როგორც ასეთ
შემთხვევაში ამბობდნენ ხოლმე შინ. იგი მოცეკვავეებს ფე-
ხებს უბორკავდა, ოხუნჯობდა. ისე გადიარია, რომ მისგან
მოსვენება აღარ ჰქონდათ.

უკვე გვიანი იყო და ბევრი შინ წასასვლელად მოემზადა,
როცა უკანასკნელი თამაში—„განთქმულობანა“ დაიწყო. უნ-
და ჩაეფიქრებინა განთქმული ადამიანი. გამომცნობს უფლებ-
ა ჰქონდა მიეცა ყველასათვის თითო შეკითხვა და შემდეგ
დაესახელებინა ჩათქმული. გამოცნობა ნადია სუზდალცევას
ერგო. კოლია ამ დროს სამზარეულოში იყო გასული ცივი
წყლის დასალევად; როცა დაბრუნდა, ოთახში უკვე ყველა-
ფერი ჩათქმული იყო, ყველანი ადგილებზე ისხდნენ, შემო-
ვიდა ნადია, რომელსაც უნდა გამოეცნო, და დაიწყო შეკითხ-
ვების მიცემა.

- ქალია თუ ვაჟი? — იკითხა მან პირველ რიგში.
- ვაჟი! — იყო პასუხი.
- ამ ეპოქისა?
- როგორ გითხრათ, უფრო რომაელის.
- მამ!.. ცოცხალია? — განაგრძობდა კითხვების მიცემას
ცოტა არ იყოს შეცბუნებული ნადია.
- ჰო, რასაკვირველია!
- ძალიან განთქმულია?
- ჰო, ჰო, ცნობილი!
- გმირია?
- ზოგიერთებისთვის კი.
- სამხედროა?

- არა.
- პირდაპირ, აღარ ვიცი ვინაა, — დაიბნა ნადია. — ნას-
წელია?
- უსაზღვროდ.
- ლამაზია?
- თვალწარმტაცი.
- ნადიამ უცებ ეშმაკურად, გამოცდელად გადახტა მეგობ-
რებს:
- მხატვარია?
- მომავალი! — ერთბაშად იყვირა ყველამ.
- კოლია დამიტრევი! — საზეიმოდ განაცხადა ნადიამ.
- სიცელი, ხარხარი, ტაში გაისმა პასუხად. და კოლია საშინ-
ლად გაბრაზებული, გაწითლებული გამოვარდა ოთახიდან.
დერეფანში კირა დაეწია:
- შენ რა, მართლა გაბრაზდი? იმათ ხომ იხუმერეს.
- შენ იცოდი და მოსაწილეობდი? — საყვედურით წარ-
მოთქვა მან.
- მერე, რა არის ამაში ისეთი? ხუმრობა არ შეიძლება?..
და მერე, შენ ხომ ნამდვილად იქნები მხატვარი. ამას ყველა-
ნი ამბობენ.
- მე არ მიყვარს, ამას რომ ამბობენ, და კიდევ იცინიან...
ჩემგან იქნება არც არაფერი გამოვიდეს. აი, ჩავიქრები გა-
მოცდაზე..
- ვიდრე ისინი ასე ლაპარაკობდნენ, კოლია ნელ-ნელა ჩადი-
ოდა კიბეზე, კირა კი უკან მიყვებოდა. მაგრამ აქ, მეორე
სართულის ბაქანზე, კირამ ერთბაშად მბრძანებლურად, რაც
სრულებით არ შეეფერებოდა მას, მუდამ წუნარსა და მორი-
დებულს, ჩავლო კოლიას მხრებში ხელები და თავისკენ
შემოაბრუნა:
- არ გაბედო ასე ფიქრი! შენ ჩააბარებ, გესმის? მე შენ
გწუხნები მტკიცე რწმენით. ჩააბარებ. შენ ხომ გჯერა ჩემი?
თქვი, ხომ გჯერა?
- ბაქანზე სანახევროდ ზნელოდა. სინათლე მხოლოდ ზემო-
დან, მესამე სართულზე ანთებული ნათურიდან აღწევდა.
კოლია თითქმის ვერ არჩევდა კირას სახეს. გოგონა ერთი
საფეხურით მასზე მაღლა იდგა, თავით ეფარებოდა ნათურას
და სინათლე მის გაწეწილ თმებში იხლართებოდა, რისგანაც
თმები თითქოს კიაფობდნენ.



— მჯერა, — თითქმის ჩურჩულთ თქვა კოლიამ, — იმდენად მჯერა, იცი... რომ მე ახლა, კირა, მივხვდი კიდევ, წინათ წმიდანების დახატვის დროს რატომ უყვებოდნენ მათ ჰაერში გვირგვინით სიფრიფანა, ელვარე რკალს.

— რატომ, კოლია?

— იმიტომ, რომ სჯეროდათ მათი, უსაზღვროდ სჯეროდათ. და, ალბათ, მათ თვალწინ ყველაფერი ტრიალებდა, ყველაფერი ბრწყინავდა, მათ კი ეგონათ, რომ შარავანდედს ხედავდნენ... მეც ასევე. სინდისს გეფიცები, კირა, როდესაც შენ ასე მელაპარაკები ხოლმე, სულ მეჩვენება, რომ შენ ნათელი ვადგას. და შენ აი, ისეთი ხარ, როგორც ახლა, გასწივოსნებული. ალბათ, სულელურად ვლაპარაკობ, არა?

— არ ვიცი, კოლია, ჩემი აზრით, ეს, ალბათ, შენ განიგონე. აი შენ თვითონ კი ნამდვილად გეძახიან ზეციურ ბიჭს. კოლია მეტიხმეტად გაჯავრდა:

— ჰოდა, სულელია, ვინც ასე მეძახის! წესიერად გაგებთ თავი არა აქვთ და რადაცებს იგონებენ!

— არა, მართლა... შენ კიდევ გეძახიან „ბიჭი საიდუმლოებითო.“ მე თვითონ გამიგონია. ერთი ბიძაშენის ნაცნობი მხატვარი ამობოძდა, არიან უბრალოდ ბავშვები და მავშვები საიდუმლოებითო.

— საიდუმლოებითო... იტყვიან რაღა!.. — გააგრძელა კოლიამ. — აბა, მე რა საიდუმლო მაქვს? მე და შენ რომ ვმტვობრობთ, ისიც ყველამ იცის. თუმცა ნამდვილად არავის ესმის. არც უენჩას, არც ნადიას — არც არავის.

— მე კი მესმის, — თქვა კირამ.

— მაშინ მითხარი რამე, — თხოვა მან კიდევ უფრო ხმადაბლა.

— აბა რა ვითხრა?

— მითხარი რამე ისეთი, რასაც მე მხოლოდ ჩემ თავს გავუმეორებ და სხვას არავის დეღამიწის ზურგზე.

— მართალი ვითხრა, არ ვიცი... მაგრამ მე შენს მიმართ ისე ვარ განწყობილი, კოლია, რომ მითხრან შენზე — სიკვდილის პირზეა, კვდებო, მოვიდოდი, აი ასე, როგორც ახლა, ჩაკვილებდი ხელს და შენთან ერთად მოვკვდებოდი, რომ მარტო არ შეგშინებოდა, გცოდნოდა, რომ მეც შენთან ვარ..

მან მაგრად მოუქირა კოლიას ხელს, მაგრად, რაც ძალა ჰქონდა, თვალებიც კი მოკუტა. იგი ახლა თავს გრძნობდა მასზე უფრო ძლიერად, უფროსად, თითქმის მშობლოურად უფლებამოსილად.

გულაჩუყებული კოლია უხმოდ იდგა. შემდეგ კირამ ხელი შეუშვა, მან მიმდობლად ასწია მისკენ თქვა:

— იცი... მე ოდესმე, აი თუ ნამდვილად ვისწავლი, დავწერ სურათს:

ადრეული განთიადია. ორნი მიდიან. გზა შორს მიიკლავება, შორს, შორს... იქ კი მთებია და ეს-ესაა ამოდს მზე. აქ კი სახლია, დიასახლისს ახლახან დაუნთია ღუმელი, საკვამურიდან ბოლი ამოდის, თვითონ კი გამოსულა და აღერსიანად გაჰყურებს მათ, თითქოს გზა ბედნიერს უსურვებს. იმათ წინ ბევრი აქვთ სავალი, დღე კი ახლა იწყება. ზევით, ცაში, სადმე თვითმფრინავია. მას უკვე შეეხო მზე, იგი ბრწყინავს. ქვევით კი ჩრდილები მხოლოდ ახლა თანდათან იწყებენ გაქრობას. დღე ეს-ეს არის ახლა იწყება. სურათს ასე ვუწოდებ „გზა ბედნიერი“, ქალიშვილს შენგან დავხატავ, როცა გაიზრდება.

— ვაჟი ვინ იქნება?

— შენ ვინ ვინდა რომ იყოს?

— თვითონაც კარგად იცი... აბა, უნდა წავიდე, თორემ ძენას დამიწყებენ. შენ აღარ წამოხვალ, არ დაბრუნდები?

— არა, საქირო არაა. მე წავალ და ვიფიქრებ იმაზე, რაც შენ მითხარი.

კირამ ერთბაშად გაიწია, უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ისევ შემობრუნდა და ოდნავ გასაგონი ხმით შეეკითხა:

— ცხვირსახოცი გაქვს?

კოლიამ ამოიღო ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი, რომელიც სადამოზე წამოსვლის წინ გამოართვა დედას და რომელსაც მისგან ფარულად აკურა ოდეკალონი „მოსკოვი“. კირამ გაშალა იგი, უბრძანა კოლიას ერთ მხარეს ზოლოებზე ხელი მოეკრია და თვალწინ დაექირა, თვითონ ხელი მოკრია ქვედა ბოლოებს, დაიხარა... და უცებ კოლიამ იგრძნო, რომ მან ცხვირსახოცის საფარველქვეშ ფრთხილად აკოცა ლოყაზე. იგი ერთი წამით დაიბნა, გაირინდა, გული თითქოს ბუდიდან მოწყდა და კიბის საფეხურებზე დაგორდა. სუნთქვა შეერულმა ცხვირსახოცი დაუშვა — კირა აღარ იყო... ცხვირსახოცს, როგორც თეჯირსამოფარებული, ჯამბაზივით გაქრა იგი. მხოლოდ მისი ფეხსაცმლის ქუსლები კაკუნებდნენ ზევით კიბის საფეხურებზე.

თარგმან ბ. შელიამ.

(ბ ა ბ რ ძ ე ლ ე ბ ა შ ე მ დ ე ბ ნ ო მ ე რ შ ი)



ვეფხი (ფანქარი)

ნახ. კ. დმიტრიევისა.



ბანაკი ბაკურიანში

პირველი რაზმის საიდუმლო

ის ის იყო ინათლა, ნაძენარსა და ფიჭვნარს, ყვავილსა და ბალახს ჯერ არ შეშრობოდა ნაში, „კოხტაგორაც“ ჯერ ისევ ნისლში იყო გახვეული. გაისმა საყვირის ძახილი და გარემო უმაღლ პიონერები ხაზზე მოეწყვენ.

დილის გამამხნეველ ვარჯიშს მდინარის ცივ წყალში გულმკერდისა და პირის ბანა მოჰყვა. სუფთად ჩაცმული და კოხტად თმადგარცხნილი პიონერები ხაზზე მოეწყვენ.

— რაზმი მზად არის დღის რეჟიმის შესასრულებლად! — სხარტად პატაკობენ რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები. მორიგე პიონერებმძღვანელი დღის რეჟიმს აცხადებს.

პირველი რაზმი საიდუმლოდ ინახავს თავის დღის რეჟიმს!

გაკვირვებისაგან თვალები გაუგანიერდათ პიონერებს. ყველანი პირველი რაზმისაკენ იტყირებიან. ისინი კი, პირველი რაზმის პიონერები, განაბული დგანან ხაზზე.

რაზმეულში მეგობრობის საღამოსათვის მზადება გამოცხადდა. პირველი რაზმის საბჭომ დიდხანს იმსჯელა და იკამათა, თუ რა გაეკეთებინათ ამ საღამოსათვის. ბოლოს მოიფიქრეს, რაზმის დღიურში რაღაც ჩაინიშნეს.

ბავშვებმა იმ საღამოსვე რაზმის ხელმძღვანელს გაანდეს ყოველივე. ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა რაზმის საბჭოს ინიციატივას. და აი, დღით, პირველი საუზმის შემდეგ, პიონერული სიმ-

ღერით მიმავალი, ფეხშეწყობილი პირველ რაზმელები ცნობისმოყვარე თვალებით გააცილეს მორიგე რაზმის პიონერებმა ბანაკის ეზოდან.


ერთ ნემოგრულ ოჯახში

ბაკურიანის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ადგილას, ფიჭვებით დაბურულ ეზოში დაბანაკებულა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის პიონერული ბანაკი.

ორასორმოცდარი პიონერია ბანაკში. რესპუბლიკის რომელი კუთხიდან არ არიან აქ ჩამოსული პიონერები. ისვენებენ, ორგანიზმს იკაუებენ, ახალ სასარგებლო ჩვევებს იღებენ! დიდი ხნის ნაცნობებიერთ შემხვევიან ისინი ერთმანეთს.

აგერ ქუთაისელი ნაწული ჩარკვიანი და ლაგოდეხელი ვაგნერ ელიზბარაშვილი ერთად ჩაჩოქილან პიონერულ ხაზზე და ბალახზე გულმოდგინედ გამოჰყავთ პიონერული სამკერდე ნიშანი. ცოტა მოშორებით სოხუმელი ბაღირ გუგუჩია, ხობელი თამილა ვეკუა და რუსი ბორის სტეპანენკო ხასხასა ბალახზე ფაქიზად საზავენ კრემლის ქონგურებს, რომ შემდეგ წითელი აგურის ფხვნილით მოაპირკეთონ იგი, ვარსკვლავში ელექტროდენი გაიყვანონ, რომ ყოველი საბანაკო დღის დასასრულს, საღამოს, პიონერულ ხაზზე წითლად იკიაფოს კრემლის ვარსკვლავმა.

ჯემალ ლლონტი, ელუარდ ვასილენკო, რობერტ წერეთლი და ჭაბუკ ნიყარაძე მავიდაზე გაშლილ ქაღალდს ჩასცქერიან, მსჯელობენ, რადაცას შლიან, ისევ ხაზავენ. რჩევისათვის მთელ რაზმეულში



სახელგანთქმულ მხატვარს ერიკს მონემეს.

ერიკმა ყურადღებით დაათვალიერო სქემა, რომელიც პიონერებმა კონტაგორაზე ლაშქრობისას ჩაიხაზეს. ახლა სურთ კონტაგორის საბავირო გზის მაკეტი ააგონ. ხელსაწყოები და საჭირო მასალა უკვე მოამზადეს. ადგილადგილ ჩაასწორა ნახაზი ერიკმა, და ნორჩი მშენებლები საქმეს შეუდგნენ. მუყაოსაგან მთა დაამზადეს და შემოდან ხავსი გადააფარეს.

ვაჟა მხეიძე ბაკურიანში ცხოვრობს. იგი ხშირად უყვება ტოლგებს, რომ ზამთრობით ბაკურიანი ძალზე ლამაზია, რომ ბაკურიანის მთის კალთებზე სავარჯიშოდ და შეჯიბრებაზე თავს იყრიან მოთხილამურეები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. ოსტატ მოთხილამურეებს, თურმე, არც აქაური პიონერები ჩამორჩებიან მთიდან სწრაფად დაშვებაში, ტრამპლინიდან ხტომასა და სლალომში.

ვაჟას გაფაციცებით უსმენდნენ უკრაინელი სვეტლანა ხრისტიჩი და ფოთელი ზურაბ ჭითანავა. ზურაბი ზღვის პირზეა გაზრდილი და ვერ წარმოუდგენია იმ სიმაღლე კონტაგორიდან სრიალი; ამოდენა თოვლი არასოდეს არ უნახავს.

— გინდა, ზურაბ, ჩამოდი ამ ზამთარს ჩემთან სტუმრად. — შესთავაზა ვაჟამ ამხანავს. — თხილამურებით სიარულს გასწავლი და თოვლიან ბეჭობებს შემოგასრიალებ.

ზურაბი აღტაცებული დარჩა ვაჟას წინადადებით და, უთუოდ გეწვევით, აღუთქვა.

პატარაბავსი ზრუნავში

— სადა ხარ, სვეტლანა, შენს ძებნაში მთელი ზანაკი შემოვიარე, — უსაყვედურა სვეტლანას ნათელა ბერძენიშვილმა.



სვეტლანა პატარების რაზმშია. ნათელასა და მის ამ-
ხანაგებს, მოზრდილ გოგონებს, ხშირად ნახავთ პატარე-
ბის საძინებელ ოთახში. პატარებს თეთრეულის გარეცხ-
ვასა და საწოლების გასწორებას ასწავლიან.

ახლა კი ნათელამ სვეტლანა შემნახველ საკანში წაიყ-
ვანა. ჩეძოდნიდან სუფთა კაბა და ბაფთები ამოიღო,
თავისუფალ დროს თავის ტანსაცმელთან ერთად გააუთ-
ოვებს, რომ საღამოს მეგობრობის ზეიმზე კოხტად გაუ-
თოვებული ტანსაცმელი ამშვენებდეს სვეტლანას.

ნათელა ჩემი „დობილიაო“, ხშირად უთქვამს სვეტ-
ლანას, როდესაც ნათელა დიდილილობით თმებს დავარ-
ცხის და დაუწნავს ხოლმე.

ოთხი ჯგმალი და ერთი ბურთი

ყვავილების თაიგულებით და მხურვალე ტაშით შეხვდა
თაშყელი მეორე და მესამე რაზმის ფრენბურთელებს.

ორი რაზმის ორმა ექვსეულმა ფრენბურთის ბადის
ორივე მხარეს დაიკავა ადგილი, ერთმანეთს სპორტული
სალაძი უძღვნეს და მეგობრული შეხვედრისათვის მო-
ემზადნენ.


მაყურებლები მოხერხებულად ჩამოჯდნენ რბილ ბა-
ლახზე; მსაჯმა ნიშანი მისცა და აფრინდა ბურთი. მსუ-
ბუქი ნახტომები, ბურთის მოფრენებული გადაცემები,
სწორი მოძრაობები — აი, რა ახასიათებდა მესამე რაზ-
მის გუნდს.

სპორტის გულშემატკივრების შეძახილები ეკუთვნო-
და ერთი გუნდის ოთხ ჯგმალს, რომლებიც დაცვაში
იღვნენ და განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდ-
ნენ. მათ ხუმრობით „ოთხი ჯგმალი და ერთი ბურთი“
შეარქვეს ბანაკში, რადგან სპორტულ მოედანზე ბურ-
თისათვის ბრძოლა მათი განუყრელი თვისება გამხდარ-
იყო.

— აბა, შენ სპარტაკიადის დაბურვის დღის უნდა ყო-
ფილიყავი ჩვენთან, — ჩაუჩურჩულა თამრიკო სუმბა-
ქემ სტუმრად ჩამოსულ მამას და ხუთ წუთში სხაპასხუ-
პით უამბო ბანაკის მხატვრული ტანმოვარჯიშეების,
მძლეოსნების, ნორჩი მოჭადრაკეების და მოშაშეთა მილ-
წეებზე.


მოულოდნელი სტუმრები


ფრენბურთელებმა ტაშის გრიალში დასტოვეს მოედა-
ნი. ის იყო მიწყნარდა ხმაური, რომ მორიგე „მეკავ-
შირემ“ განგაშის საყვირი მისცა. პიონერები გუნდად,



606/47

4069





თავმჯდომარეობაში გაიქცენ კარებისაყენ.

— მოძე ჩეხოსლოვაკელებს ჩვენი მხურვალე პიონერული სალამი! — შესძახა ხელმძღვანელმა და ბავშვებმაც ხანი მისცეს. დაცხეს ტაში.

სტუმრად მოსული ჩეხოსლოვაკელი ახალგაზრდები, თურმე, მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არიან და ბორჯომის ხეობის გაცნობისას ბაკურიანის პიონერბანაკიც ინახულეს.

საპატიო სტუმრები პიონერებმა ტაშის გრილით მიიღეს და გაუძღვნენ იმ ადგილისაკენ, რომელსაც ისინი „მწვანე თეატრს“ ეძახიან.

გაჩაღდა ცეკვა-თამაში. ტაში კიდევ უფრო გახურდა, როდესაც მაყვალა კვაჭაძემ საცეკვოდ სტუმრებიც გამოიპატიცა.

ამასობაში ბანაკში მზით დამწვარი, გაღიმებული პიონერები სიმღერით შემოვიდნენ. ეს პირველი რაზმელები დაბრუნდნენ. მინდვრის ყვავილების თაიგულები უძივნეს სტუმრებს და საერთო მხიარულებაში ჩაებნენ.

მეგობრობის კოცონთან

ზეიმისათვის ყველაფერი მზად არის. ფერადი ნათურებით, ყვავილების გირლიანდებითა და პატარა წითელი დროშებით მოირთო მთელი ბანაკი.

კოცონის დანთების საპატიო უფლება მე-2 რაზმის პიონერებს ხვდათ.

კოცონი ყველაზე საამო მოგონებაა საბანაკო დღეებიდან. ვიდრე ცეცხლის ალი ცას სწვდება-

და, მის გარშემო პიონერების ცეკვა-თამაში და სიმღერები სცვილიდა ერთიქორეს, ხოლო რიგსაც ალმა იკლო და დამის სიბნელეში დიდრონი ნაკვერხხლები გაბრწყინდნენ, პიონერები კოცონს გარს შემოუსხდნენ და საუბარი ჩამოაგდეს მეგობრობაზე.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ვარლამ თოფურიაშვილმა პირველი სიტყვა პირველ რაზმს მისცა.

— ჩვენ დღეს მცირე წვლილი შევიტანეთ დიდ საქმეში. — განაცხადა ზურაბ წოწონავამ.

— დე, ჩვენი დღევანდელი საიდუმლო ამ კედლის გახეთმა გახსნას. — ეს დაუმატა მხოლოდ და მის გვერდით მდგომ ტურფა უჯმაჯურიძეს გადასცა კედლის გახეთი.

მეგობრული დახმარება ჩვენს მეზობელ კოლმეურნეობას! — ხმამაღლა წაიკითხა ტურფამ მიწინავე წერილის სათაური.

მაღე მთელმა რაზმეულმა გაიგო, რომ პირველი რაზმის პიონერებს კარტოფილის ნათესის მთელი ჰექტარი გულდაგულ გაუთიხნიათ, ამით პიონერებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავის სახელობის ბაკურიანის კოლმეურნეობისათვის ათამდე შრომადღე გამოუმუშავებიათ. ბიჭები, აგრეთვე სასილოსე ორმოების გათხრაში დახმარებთან უფროსებს. მარჯვედ მუშაობისათვის და მეგობრული დახმარებისათვის კოლმეურნეებმაც სწორედ ამ საზეიმო საღამოს გამოუცხადეს მადლობა პიონერებს.

კოცონი ნელნელა იფერფლებოდა, პიონერები კი ვინ მოსთვლის რამდენ საინტერესო ეპიზოდს ჰყვებოდნენ თავინთი ყოველდღიური ცხოვრებიდან მეგობრობის გრძნობის სიდიადის დასადასტურებლად.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ის წუთი კოცონთან, როდესაც მთელმა რაზმეულმა ცოცხალი ყვავილების თაიგულებითა და წიგნებით ერთხმად მიულოცეს დაბადების დღე მათი დიდი კოლექტივის ორ წევრს — გულიკო ბერიძესა და ნანა ზურიაშვილს.

ამავე კოცონთან პიონერებმა მისალმების წერილი გაუგზავნეს „მეგობრობის“ პიონერბანაკში ტუმინოელ, მოსკოველ, თბილისელ და მესტიელ პიონერებს — მათი მეგობრობის ათი წლისთავის აღსანიშნავად.

მეორე დილას რაზმეულის საბჭომ ამ წერილთან ერთად მოზრდილი ამანათიც გაგზავნა მისამართით:

მესტია. „მეგობრობის“ პიონერთა ბანაკის პიონერებს.

რუსლან პერკინა

სურათზე: პიონერები გულიკოსა და ნანის დაბადებას დღეს ულოცავენ (1), ოთხი ჯემალი შეჯიბრების წინ (2), ნორჩი ნატურალისტები საქმიანობენ (3 და 4), სტუმრად კოლმეურნეობთან (5), თავისუფალ დროს (6), თხილამურებს ეცნობიან (7), ნორჩი ტანმოვარჯიშეები (8), მორიგეები სამზარეულოში (9).



აბუკვი უსნაური ცეცხლნამკიდებლისა



ქარელ ჩაპეკი (1890—1938) ჩეხოსლოვაკიის ერთერთი უდიდესი მწერალია. ქარელ ჩაპეკი დაიბადა ექიმის ოჯახში. უმაღლესი განათლება პრაღისა და უცხოეთის უნივერსიტეტებში მიიღო. XX საუკუნის ოციან წლებში გამოდის მისი მოთხრობების პირველი კრებული. თავის საუკეთესო ნაწარმოებებში, რომლებიც მრავალ ენაზეა თარგმნილი, ჩაპეკი ილაშქრებს კავიტალისტური სამყაროს მანინჯი მხარეების წინააღმდეგ.

ქვემოთ ვებუძღვით კ. ჩაპეკის ერთერთ ნოველას, რომელშიც მაღალი მხატვრული ოსტატობით გადმოცემულია კავიტალისტურ სამყაროში ცხოვრების მიძიმე პირობებით დაღუპული ერთი ნიკიერი ბიჭის ამბავი.



— ქვეყანაზე ბევრი გასაოცრად ნიკიერი ადამიანია, — წამოიწყო ჩაფიქრებულმა მალამი. — მე წამოიკითხავს ერთი ბიჭუნას შეტად საინტერესო ამბავი; ადვილი შესაძლებელია წოვიერთ თქვენგანს ის გაგონილიც არ გქონდეთ. ჰოდა, სი, მამისმინეთ.

ეს მოხდა სადღაც შტირიაში; ცხოვრობდა იქ ერთი სარაჯი, სახელად ანტონი ერქვა, გვარად, მგონი, ჰებერი, თუ ფოგტი, უფრო კი, მაიერი... ერთი სიტყვით, რაღაც აშმაირი, სრულიად ჩვეულებრივი გერმანული გვარი ჰქონდა. ჰოდა, ერთხელ, სწორედ იმ დროს, როცა ეს სარაჯი თავის დღეობას იხდიდა და ჯალაბობით სუფრას უჯდა, ანაზღად ქუჩიდან ვიღაცამ ფანჯარას მიუბრაზუნა:

— არიქა, მეზობელო, თავს უშველეთ, თქვენს სახურავს ცეცხლი გასჩენიაო!

სარაჯი გარეთ გამოვარდა და, ყველაფერს ფიციავ, მთელი სახურავი მართლაც ცეცხლის ალში იყო გახვეული. ცხელია, ბავშვები აღრიზდნენ, ცოლმა კი ხელი დაავლო საათს და ფიშვივით გარეთ გამოარბენინა.

რამდენჯერ შევსწრებივარ ხანძარს და ყოველთვის შემომჩნევია, რომ ჩვეულებრივად ამ დროს ადამიანს თავგზა ებნევა და ცდილობს ისეთი რამ გადაარჩინოს, რაც მაინცადამაინც დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგალითად, იმწამსვე ან საათს, ან ყავის საფუჯავს, ან კიდევ გოლიას, შიგვაგამწვედიული ჩიტი, მივარდება ხოლმე და მხოლოდ გვიან მოაგონდება, რომ აღმოადებულ სახლში მოხუცი ბებია დარჩა, ტანისამოსი, ავეჯი, სხვადასხვა ძვირფასი ნივთი...

მოცივიდნენ მეზობლები, დაუწყეს ხანძარს ჩაქრობა, მაგრამ ერთმანეთს მხოლოდ ხელს უშლიდნენ. მალე მეხანძრეებმა მოიბრინეს. მოგებსუნებათ, რომ, ხანამ ხანძარს ჩასაქრობად წაუღენ, მეხანძრეებმა ჯერ ტანსაცმელი უნდა გამოიცვალონ... ამასობაში კი მეზობლის შენობასაც წაეკიდა ცეცხლი, და საღამოსთვის უკვე თხუთმეტი სახლი გადაიწვა.

იციო, ადამიანმა ნამდვილი ხანძარი მხოლოდ სოფელში ან პატარა დაბაში შეიძლება ნახოს. დიდი ქალაქი — სულ სხვა საქმეა, იქ თქვენ თვით ხანძარს კი ვერ ხედავთ, მეხანძრეების გასაოცარი სიმკვირცხლითა და ტრიუკებით ერთობით. სოფლად ყველაზე უკეთესია თვითონ მიიღო მონაწილეობა ხანძარს ჩაქრობაში, ან რჩევა-დარიგება მაინც მიაშველო იმათ, ვინც ცეცხლს აქრობს. ხანძარი სოფლად ერთი სათვალსიერო რამ სანახაობაა: ცეცხლი შიშინებს და დიდის ამბით ფთხვინავს... მხოლოდ ერთი კია, — მდინარიდან წყლის მოზიდვა მაინცადამაინც ვერაფერი სახარბიელოა.

უცნაური ადამიანის ბუნება: თუ რაიმე უბედურებას ხედავს, უნდა, რომ ეს უბედურება შემაძრწუნებელი იყოს. დიდი ხანძარი, ან წყალდიდობა როგორღაც შეაფლდრებს ხოლმე ადამიანს. მას რატომღაც მაშინ ეჩვენება, რომ ცხოვრებისგან რაღაც ახალი შეიძინა. ან იქნებ მასში ამ დროს წარმართული მოკრძალების გრძნობა ცოცხლდება? მართალი ვითხრათ, არ ვიცი...

მეორე დღეს ის ადვილი ისე გამოიყურებოდა, როგორც... ერთი სიტყვით, როგორც ხანძრის შემდეგ არის ხოლმე, — უკეთესად აბა, რა სიტყვებით შეიძლება ამ სურათის გადმოცემა. ცეცხლი — ლაშაზი სანახავია, მაგრამ ნახანძრალი — შემწარავია. სიყვარულშიც ასეა. უმწეოდ უყურებს ნახანძრალს და გგონია, რომ ასეთი უბედურების შემდეგ ადამიანი ვერასოდეს ვეღარ გაიმართება წელში.

იქ იყო უანდარმთა ახალგაზრდა ვახმისტრი, მას უნდა გამოერკვია ხანძრის მიზეზები.

— ბატონო ვახმისტრო, — შესჩივლა მას სარაჯმა ანტონმა, — დარწმუნებული ვარ, რომ აქ რაღაც ბოროტმოქმედებაა ჩადენილი. რატომ მაინცადამაინც ჩემს დღეობაზე მოხდა ხანძარი, როცა მე საღმინო სუფრას შევექცეოდი? აზრზე ვერ მოვსულვარ, ვის დასჭირდა ჩემზე შურისძიება. ჩემს დღეში არავისთვის ცუდი არ მიქნია, პოლიტიკაშიც არ ვერევი. ვერ გამოვიგია, ვის უნდა ჰქონდეს ჩემი მტრობა.

შუადღე იყო, მზე ცხარედ აცხუნებდა. ვახმისტრი ნახანძრალზე დადიოდა და ფიქრობდა: „დალაზეროს ეშმაკმა, რისგან უნდა გაჩენილიყო ეს ხანძარი?“

— მოიცა, მოიცა, ანტონ, იქ რა არის, სხვენის კოჭე რომ ბზინავს? — უცერად შეეკითხა იგი სარაჯს.

— იქ სამერცხლე იყო, — უბასუხა სარაჯმა. — ალბათ, ლურსმანი თუა.

— არა, ის ლურსმანი არ უნდა იყოს, — თქვა უანდარმმა. — უფრო სარკესა ჰგავს.

მიიღვა კიბე სახლის დანახშირებულ კედელზე, გაცოცდა კოქამდე და გადმოსძახა ქვემოთ:



ბიჭუნამ გამოიანგარიშა ცამეტ იენისს მზე რა სიმადლეზე იქნებოდა...



... მათელი სასურავი მართლაც ცეცხლის ალში იყო გახვეული.

— ცნობისათვის უნდა მოგახსენოთ, ანტონ, რომ ეს არც ლურსმანია და არც სარკე, მხოლოდ მრგვალი შუშაა. კოქ-ზეა მიმაგრებული. რისთვის გქონდათ ის აქ?

— ეშმაკმა უწყის, — მიუგო სარაჯმა. — ზაფხუვები თუ თამაშობდნენ.

უანდარში ათვალერებდა შუშას, და უეცრად წამოიყვირა: — დალაზვროს ეშმაკმა, რა ცხელია! ნეტავ რა უნდა იყოს? — მერე ცხვირი მოიფხანა. — ფუი, ეშმაკს! — კვლავ წამოიძახა. — ხელი დამწვა. აბა, ერთი სწრაფად მომავოდე, ანტონ, ქალაღის ნაგლეჯი.

სარაჯმა ბლოკნოტიდან ამოხია ფურცელი და მიაწოდა. ვახმისტრმა გააჩერა ქალაღი შუშის ქვეშ.

— ესეც ასე, — თქვა მან ერთი წუთის შემდეგ, — ყველაფერი ნათელია, ანტონ.

ძირს ჩამოვიდა და ქალაღი ხელში მიაჩეჩა სარაჯს. ფურცელი მრგვალად იყო ამოწვარი, ნახვრეტის კიდეები ჯერ ისევ ღრჩოლავდა.

— ცნობისათვის უნდა მოგახსენოთ, ანტონ, — განაგრძო ვახმისტრმა, — რომ ეს შუშა გახლავთ ორმხრივ გამოწვნი-ქილი ლინზა, ანუ გამაღიდეგელი მინა. ახლა უნდა გამოვიძიო, ვინ მიამაგრა აქ, ამ კოქზე, ეს გამაღიდეგელი მინა სწორედ თივის მახლობლად. და მე გეუბნებით, ანტონ, რომ იგი, ვიცეც ეს ჩაიღინა, აქედან მხოლოდ ბორკილგაყრილი თუ წავა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა სარაჯმა. — სახლში ჩვენ გამაღიდეგელი მინა არც კი გქონია. ე-ე, მოიცათ, მოიცათ. — უცბათ რაღაც მოაგონდა მას. — მე ერთი შეგირდი მყავდა, სახელად ზები, იგი მულაშუამ ასეთ რამეებს აჯახობდა. მე იგი გავავადე, რადგან მისგან არაფერი გამოდი-

ოდა, ერთი თავქარიანი ბიჭი იყო, სულ რაღაც სურათს ცდებდა იყო გადაყოლილი. ნუთუ იმ წყევულმა ბიჭმა ცეცხლი?... არა, ეს ყოველად შეუძლებელია, ბატონო ვახმისტრო, მე იგი ჯერ კიდევ თებერვალში გავაგდე, და ახლა სადაა კაცმა არ იცის, მას აქეთ იმ ბიჭს აქ ერთხელაც არ გაუქუქანებია.

— მე გავარკვევ, მისია თუ არა ეს გამაღიდეგელი მინა. — თქვა ვახმისტრმა. — უდებეშეთ ქალაქში, კიდევ ორი უანდარში გამოგზავნონ. ამ მინას კი, იცოდეთ, ხელი არავინ ახლოს! პირველ ყოვლისა ის ბიჭი უნდა ვიპოვოთ.

ბიჭუნა, რა თქმა უნდა, იპოვეს, იგი შეგირდად იყო რომელიღაც მეგოდრესთან სხვა ქალაქში. როგორც კი სახელოსნოში უანდარში შევიდა, ბიჭი ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა.

— ზებ! — უყვირა უანდარში. — სად იყავი ცამეტ ივნისს?

— აქ ვიყავი, აქ... — აბუტბუტდა ბიჭუნა. — თხუთმეტ თებერვლიდან აქა ვარ ფეხმოუცვლილად, ამას ყველა დამიმოწმებს.

— ბიჭი მართლს ამბობს, — თქვა მეგოდრემ. — მე ეს შემოდოლა დავადასტურო, რადგან იგი ჩემთან ცხოვრობს და ჩემს პატარა შვილსაც უფლის.

— აი, საკვირველება თუ გნებავთ, ეს არის! — თქვა უანდარში. — გამოდის, რომ ეს ის ბიჭი არაა.

— რაშია საქმე? — დაინტერესდა მეგოდრე.

— საქმე შემდეგშია, — უპასუხა უანდარში, — ამ ბიჭზე ექვია მითანელი, რომ მან ცამეტ ივნისს, აქედან საღვაც დასაკარგავში, ცხრა მთას იქით ცეცხლი წაუკიდა სარაჯის სახლს და ნახევარი სოფელი გადაწვა.

— ცამეტ ივნისს? — გოცებით წამოიძახა მეგოდრემ. — უცნაურია: სწორედ ცამეტ რიცხვს ზები მოულოდნელად შეკითხება: „დღეს რა რიცხვაა? ცამეტი, წმიდა ანტონის დღე? დღეს უსათუოდ რაღაც უნდა მოხდესო“...

ბიჭი წამოხტა და გაქცევა დააპირა, მაგრამ უანდარში საყელოში სწვდა. საპატიმროში რომ მიყვდათ, ზები ყველაფერში გამოტყდა: იგი, თურმე, გამწყრალი იყო სარაჯზე იმისათვის, რომ გამაღიდეგელი მინით ცდების კეთებას უშლიდა და უწყალოდ სცემდა. სარაჯზე შური რომ ეძია, ბიჭუნამ გაიანგარიშა — ცამეტ ივნისს, — სარაჯის დღეობას — შუადღისას მზე რა სიმაღლეზე იქნებოდა, და სწორედ ისეთი კუთხით მიამაგრა გამაღიდეგელი მინა კოქზე, რომ თივას ცეცხლი წაჰკიდებოდა. ყველაფერი ეს მან ჯერ კიდევ თებერვალში მოაწყო და სარაჯისგან წავიდა.

და იცით რა? ამ გამაღიდეგელი მინის დასათვლიერებლად ვენიდან სწავლული ასტრონომი ჩამოვიდა. იგი განცვიფრებული თავს აქნევდა, როდესაც, შემოწმების შემდეგ, დარწმუნდა, რომ მინა ზუსტად იმ კუთხით იყო დაყენებული, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა მზის ზენიტურ მდგომარეობას ცამეტი ივნისისათვის. „ეს, — თქვა ასტრონომმა, — გასაოცარი მოსაზრებულობაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თხუთმეტი წლის ბიჭუნას არავითარი ხელსაწყო არ გააჩნდა კუთხეების გასაზომად“.

შემდეგ რა მოუვიდა ზებს, აღარ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ დაუდევარი ბიჭისაგან გამოჩენილი ასტრონომი ან ფიზიკოსი დადგებოდა. მეორე ნიუტონი შეიძლება იყოს გამხდარიყო ის შეჩვენებული! ამქვეყნად სულ ტყუილუბრალოდ იღუპება ამდენი შესანიშნავი ნიჭი! იცით, რა გითხრათ, ადამიანებს მოთმინება ჰყოფინათ ალმასი ეძიონ ქვიშაში და თვალ-მარგალიტი ზღვაში, მაგრამ აი, ნიჭისა და ტალანტის მოძებნა და სათუთად მოვლა-გაფრთხილება კი არავის მოაფიქრებდა.

ქეშმარიტად რომ დასანანია!...

ჩეხურლან თარგმანა შალვა გვინჩიძემ

ნადირთა ქოხები

შეწყვიტეს ბურთის თამაში,
ბურთიც მოწყინდათ ბიჭებს,
ერთი რომ ქოჩორის ისწორებს,
მეორე სარტყელს იჭერს.

მესამე მტვრიან ფეხსაცმელს
ქუსლში უსწორებს ლურსმნებს,
ზოგი შედეგზე კამათობს,
ზოგც ამ კამათს უსმენს.

კურკა წითურა არჩილმა
თვალი ჩაუკრა სულხანს,
გავიდა განზე გაიხმო
და სადუმლოდ უთხრა:

— ყოველდღე ბურთსა ვთამაშობთ,
სხვა რამ ვიფიქროთ ახლა!

— სწორი ხარ, — ეტყვის სულხანი, —
მთელი უბანი გეძრახავს.

— აშენდა შენი ოჯახი,
მეც ეგ მიხილდა მეტეჟა! —

მერე ეშმაკი არჩილი
განგებ გაყურდა ერთხანს;

უცებ მარჯვენა გაშალა
და მიათითა მაწიხს:

— აი, იქ, ნაკრძალს ვეწვიოთ,
ახლავ თოფისთვის გასწვი

იქნება არჩევებს წავაწყდეთ,
იქნებ წავაწყდეთ ვიხვებს. —

არ დაეთანხმა სულხანი,
მაშინ გიორგიც იხმეს.

არჩილმა თვალით ანიშნა,
ისიც მიემხრო არჩილს,

სულხანს შესძახა: — თუ შიმობ,
სახლში, ბუხართან დარჩი.

ორის უხამსა დაცივნამ
ენა ჩაუგდო სულხანს —

დათანხმდა, თავის მეგობრებს
ველარაფერი უთხრა.

სად გაგონილა ნაკრძალში
ჯახვისთვის თოფის სროლა,
კარგსა არ ვის უქაღის
ცული მეგობრის ყოლა.

კლდე ყვილიად შეუღებია
ცხელ, გოგირდიან წყაროს,
ირგვლივ წიფელი და მისი
ნათესაობა ხარობს.

გალაღებულა რცხილნარი,
მას წაბლის მოდგმა ბაძავს,
შიგ და შიგ სუროს ბავთები
აფერადებენ ნაკრძალს.

ჩამოთოვლილი ქედები
თვალის წარპტაცად მოჩანს,
„მარტი-მურტა“, ხეები
ჯერ ისევ დგანან ჩონჩხად.

აქ ათასწლოვან თელინს
აღარ აშვითებს ცული,
მას საბა პაპა დარაჯობს,
შვილების დარად უვლის.

კლდის ფერხითი მოჭქუხს მდინარე,
მოდიდებულა, შლეგობს,
მზე ჩადის, სამაჟა ჭაბუკმა
თავი მღვიმეში შერგო.

მღვიმეში ცეცხლი აანთეს,
გარედან ქარი ოხრავს,
გამართული დგას არჩილი,
ორსა სჭირდება მოხრა.

ცეცხლს შემოუსხდნენ ბიჭები,
ცდილობენ ჰგავდნენ ორბებს;
ყველა თავთავის ტყუილით
გაჰოეპარა მშობელს.

გიორგი ამბობს: — მაწიხით
გაღმოვა არჩვის ჯოგი,



ხვალ დილით ჩასაფრდებიან
და დაიწყებენ ლოდნს,
მეტი რა უნდათ, ნადირი
თავისი ფეხით მოდის.
შემთბარი სველი კედლები
ბრწყინავენ როკორც რვალი...
სამში პირველად გიორგის
წაართვა ძილმა თვალი.
მერე იმ ორსაც აჯობა,
თვალს ვედარცერთი ახელს
და ცეცხლის ალი აშუქებს
სამთა მთელემარე სახეს.



მსუბუქად დაგვრათ, ბიჭებო,
ვზიცაქარ ცოცხლად მოგვკვრიოთ.
სხვებისგან გაუგონიათ
რაც ნადირსა აქვს წესად, —
გოგირდის ხეცეში ჩამოვლენ,
რომ მლაშე წყალი შესვან.

რიყრაყის სხივი დაეცა
ნინიგორას და შავ მთებს.
განოილდიქს ბიჭებმა,
ცეცხლს შეუქეთეს, გათბენ.
გოგირდის ცხელი წყლებიდან
ამოდის ორთქლის ნისლი,



უფრთხის ზამთარი ამ ადგილს,
დიდი შიში აქვს მისი.
მთებზე და ტყეში თოვლი ძევს,
აქ კი ბალახი მწვანე.
მზემ უკვე ამოაშუქა,
ბიჭები თვლიან წამებს.

* * *

მაწიმის გრძელი ბილიკი
მოსდევს მდინარე მაწიმს
და ალაგ-ალაგ იმ ბილიკს
ჩანჩქერთა შხეფი აწვიმს.
ჯიხვთა ჯოგებმა ბილიკი
ბერჯერ გადასჭრეს სწორედ;
რქებს ისე გააქვს ჯახანი,
თიოქოს ინგრევა ყორე.
მერე არჩევი, ირმევი,
განა თითოდ და კენტად...
გოგირდიანი წყლებისკენ
ხოვ არ მიდიან ნეტაე.

* * *

თოფი არჩილას უჭირავს,
არვის ანებებს სასროლს.
ბიჭებს ლოდინში წაერთვით
მომინება და სასო.
წყაროსთან თოვლი არ არის,
მაგრამ სცემს სუსხი თოვლის;
შეციებული ბიჭები
ბილიკს გასცქერნ თრთოლვით.
ჩიტებმა თვალი შეასწრეს,
წამსვე ერთურთი იხმეს
და რომ სიფრთხილე მართებდათ
უკვე აცნობეს ჯიხვებს.

ჯიხვებმა არჩევს გასძახეს,
არჩევებმა—შვლებს და ირმებს;
ნაკრძალში გაუფრთხილებლად
არ დარჩენილა ვინმე.
ნადირი ისე ფრთხილია,
სიოსაც ჰკითხავს ამბავს.
ხევში გოგირდის სუნია,
მთებზე კვლავ თოვლის ბამბა.
უცებ ლაწანი მოიმა—
შველმა ისკუბა კლდიდან;
თუ კაცის გული არა გაქვს,
მოჰკალ, მეტი რა გინდა.
შველი ნაწვავში ჩაეფლო,
საშველს ტყუილად ეძებს;
ბიჭების გონზე მოსვლამდე
მგელი გადმოდგა კლდეზე.
მასაც შვლის ხორცი სდომია,
არ ხედავ ტურის არჩივს?!
ორჯერ გაეზარდა ორლულა,
თოფი ეჭირა არჩილს.

* * *

საბა დარაჯმა ნაკრძალი
შემოიარა დილით, —
თბილი ქუდი და ბანდული,
ტყაპუჭიც ეცვა თბილი.
ანაზად კვალი იპოვნა,
მოიცვა დიდმა ღელვამ.
მოხუცი, ვისაც ნადირთა
ქომავს ეძახის ყველა,
კვალს მისდევს, მისი სიმძიმით
თოვლს გააქვს ხრამა-ხრულში.
და როცა თოფმა იქუხა,
ქარი ჩაუდგა მუხლში.
— რომელმა გადმოაბიჯა
ჩემი ნაკრძალის ღირეს!
იქნებ გაბედა ბედმაგმა,
იქნებ ესროლა ირემს,


იქნება ჯიხვი მომიკლეს,
იქნებ მომიკლეს შველი..
გოგირდიანი წყლებისკენ
მიჰქრის ნაკრძალის მცველი.

* * *

შველი ნაშქერში ჩაფლული
ველარ იძროდა სულაც,
ყველას წითურმა მიასწრო,
უფრო წასძლია სულმა.
ის დასაკოცნი პირუტყვი
სულ აეტანა კანკალს,
არჩილმა დანა გაიძრო
და დაუპირა დაკვლა.
ნადირთა ძველმა ქომავმა
ამ დროს იქუხა ხევში,
და დანა შვეტიარისი
გაპქრა არჩილის ხელში.
ფერდაკარგულმა ბიჭებმა
ამოიყვანეს შველი,
მოვიდა პაპა, იხილა
ტყვიადახლილი მგელი.
შველს ფეხი ეკეცებოდა—
უკანა ფეხი ეღრძო —
გაპქრა, ადგილზე ჩაუგდო
ამოვარდნილი თეძო.
ხელი შეუშვეს ბიჭებმა, —
გაუჩინარდა უმაღ.
თოფი აიღო დარაჯმა,
აკოცა ორთავ ღულას.
მგლის დარჩენილი პირიდან
თოვლსა ღებავდა სისხლი,
მოზრუნდა საბა, ბიჭებსაც
ერგო ამბორი მისი...

ვაი, რომ მათში არცერთი
არ იყო ამის ღირსი.





ს ი ჭ ა ბ უ კ ი ს ზ ე ი მ ი

სანამ საბჭოთა სპორტსმენების წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს შევხებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ 1952 წელს ჰელსინკიში მოწყობილი ოლიმპიური თამაშები. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარგზავნილებთან სპორტულ ჭიდილში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ასეთივე ოლიმპიური თამაშები გაიმართება 1956 წელს ავსტრიის ქალაქ მერბურნში. აი, ამ გრანდიოზული ღონისძიებისათვის ემზადება ახლა მთელი მსოფლიო. დიდი მზადებაა საბჭოთა კავშირშიც.

1956 წლის ზაფხულში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ეს იქნება ოლიმპიური თამაშების გენერალური რეპეტიცია. ხალხთა სპარტაკიადას წინ უსწრებს რესპუბლიკური, საოლქო პროფკავშირული და მოსწავლეთა სპარტაკიადები. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპია.

სპარტაკიადა დაიწყო

რესპუბლიკის მოსწავლეთა VII სპარტაკიადისათვის მზადება ადრევე დაიწყო. როგორც კი დამთავრდა საზაფხულო გამოცდები, მოსწავლეთა ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა შეიძინეს საკოლექტივო შეჯიბრება გააჩაღეს. შემდეგ რაიონული სპარტაკიადები მოეწყო. შედგა ნაკრები გუნდები და I ივლისს დედაქალაქში შეიკრიბნენ. ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენები, სპარტაკიადაში მხოლოდ წარჩინებულნი მონაწილეობდნენ.

...კიროვის სახელობის პარკის კალთბურთის სტადიონის

ცენტრალურ მოედანზე დროშების ფრიალით შემოვიდა სპარტაკიადის ნორჩ მონაწილეთა კოლონა, რომელიც ტანმოვარჯიშების, მოცურავეების, ველოსიპედისტების, მსროლელებისაგან შედგებოდა. მოწინავე რიგებში იდგნენ გასულ წელს საკავშირო სპარტაკიადაზე გამარჯვებულები თ. პერტენავა, მ. დიასამიძე, ტ. კომისარენკო და სხვები.

— სმენა! — გაისმა პარადის უფროსის ხმა და კოლონა გაირინდა. მიკროფონთან მივიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე. იგი მიესალმა მოსწავლე სპორტსმენებს, უსურვა მათ სწავლაში წარმატება და სპორტული დაოსტატების განუხრელი ზრდა.

ანაჲ აღმართა მოსწავლეთა VII რესპუბლიკური სპარტაკიადის გახსნის აღამი. შეჯიბრებები დაიწყო ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვასა და სროლაში.

ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ ი

შეჯიბრებაში ოსტატის პროგრამით 12 გოგონა მონაწილეობდა. პირველ იარაღიდანვე დაძაბული სპორტული ბრძოლა გაიმართა. ტ. კომისარენკო, მ. ხაჩიძე, ნ. თორაძე, მ. ზვიადაძე და სხვები დიდხანს მხარდამხარ მიდიოდნენ. დამთავრდა აუცილებელი ვარჯიშები და ნებისმიერი დაიწყო. სწორედ აქ გამოჩნდა თბილისელი ტ. კომისარენკოს ოსტატობა. მან შესანიშნავად შეასრულა ვარჯიშები ორძელზე, დვირზე, ბჯენით ხტომებში, უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო და საერთო პირველი ადგილი დაიმსახურა. პირველი ადგილის გარდა, კომისარენკომ სპორტის ოსტატის სახელის მოსაპოვებელი ქულათა რაოდენობაც დააგროვა.



ვერ ვიტყვით, რომ მძლეოსნობაში შეჯიბრება უარყოფითად დამთავრებულიყო. მონაწილეთა უმრავლესობამ ვერ აჩვენა მესამე თანრიგის ნორმა, ზოგმა კი მშთ კომპლექსის ნორმაც ვერ ჩააბარა. იმათგან, ვინც ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, აღსანიშნავია ქუთაისელი ზ. ძიძუაშვილის სარგებლო ნახტომი. იგი სიგრძეზე გამორბენით 6,71 მეტრზე გადახტა. 100 მეტრზე წინასწარ გარბენაში პირველი იყო აფხაზეთის წარმომადგენელი ივაშჩენკო (11,3) მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა თბილისელი ჩუხრუკიძე (11,4). ფინალში სურათი შეიცვალა: ივაშჩენკო გამარჯვებულთა პირველ სამეულშიც კი არ მისვდა, ხოლო ჩუხრუკიძემ, აჩვენა რა 11,3, პირველი ადგილი დაიკავა. კარგი შედეგით გაირბინა 110 მეტრზე თარჯბენი გ. გვინჩიძემ. მისი ნაჩვენები დრო (15,6) იმის მოსაწვავებელია, რომ იგი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე სრულყოფს თავის ტექნიკას.

თბილისელი გოგონებიდან აღსანიშნავია დ. კილასონის და ქ. ბოკუჩავას გამოსვლა. პირველმა ბადრო ტყორცნა 30 მეტრსა და 83 სანტიმეტრზე, ხოლო მეორემ 140 სანტიმეტრის სიმაღლე გადალახა. გოგონებს შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვა ტ. პშენჩინაიამ.

მძლეოსნობაში შეიღმა მონაწილემ მეორე საკავშირო თანრიგის ნორმა შეასრულა.

ც უ რ ვ ა

... კოშკურებზე გამომწკრივდნენ 100 მეტრზე მოცურავე გოგონები: თბილისელი რ. არკადიევა, ფოთელი ს. ბუბუნია, ბათუმელი ს. კალმიოვა... სტარტიდანვე ცურვას ლიდერობდა არკადიევა. იგი მძლავრი მკლავებით მიარღვევდა წყალს და ფინიშამდე მანძილს თანდათან ამოკლებდა. გამარჯვება მას დარჩა. ბატერფლაის სტილით ცურვაში პირველი იყო თბილისელი ე. შავდია, მეორე ადგილზე გამოვიდა ფოთელი დ. მინაევა.

გუნდური პირველი ადგილი შემდეგნაირად განაწილდა: დედაქალაქის გუნდი — პირველი ადგილი (22.272 ქულა), აქარა — (14.551 ქულა), აფხაზეთი — (13.557 ქულა) და ა. შ.

ვ ე ლ მ რ ზ მ ლ ა

საქართველოს სამხედრო გზის ნატატრის მონაკვეთზე ჩატარდა შეჯიბრება საგზატექცილო ველორობლაში. ქაბუკების წინაშე რთული ამოცანა იდგა — დისტანცია რთულია, ამიტომ არ კმარა, რომ მანქანას თავისუფლად ფლობდე, საჭირია აგრეთვე შენი ძალები თანაბრად განაწილო მანძილში.

მსაჯებმა დაიკავეს ადგილები. მანქანებზე სხედან ნორჩი ველომობილები. წითელმა ალამმა გაჰკვეთა სივრცე და შურდულივით მოსწყდნენ ველოსიპედისტები სტარტს. რბოლის დასაწყისში ლიდერი ხშირად იცვლებოდა, მაგრამ, უკვე 25 კილომეტრზე თბილისელთა ჯგუფი დაწინაურდა და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. აი, ფინიშის საზიცი! თბილისელებმა თავაქმე, პატარაიამ, მალახოვმა და კლიმოვმა ერთად გადალახეს იგი.

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა მიმდინარე წლის ერთერთი მასობრივი ღონისძიება იყო, რომელშიც 1500-დე მოსწავლე სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველ ჯგუფში საერთო პირველი ადგილი დაიკავეს თბილისელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის მოსწავლე-სპორტსმენთა კოლექტივი; მეორე ჯგუფში უძლიერესის სახელი დაიმსახურა გორის მოსწავლეთა კოლექტივმა.

სპარტაკიადის მონაწილე საუკეთესო სპორტსმენებისაგან დაკომპლექტებულ იქნა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრანბურთში, სროლასა და ველოსპორტში. გუნდები გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით წარმატებით მოემზადნენ მოსწავლეთა II საკავშირო სპარტაკიადისათვის.

ი რ უ ზ უ ლ ა

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრებები პირველთანრიგისან ვაჟთა შორის. აქ პირველი ადგილი მოიპოვა ბ. იაგუტოვა (თბილისი). ოსტატის პროგრამით ვარჯიშში მხოლოდ ორი სპორტსმენი ვაჟი რ. პეტრენავა და ი. ბალიაური ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ორთა ბრძოლა უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა.

ს რ მ ლ ა

შეჯიბრება სროლაში სპარტაკიადის ოფიციალურად გახსნამდე დაიწყო. ტირში დიდიდანვე ისმოდა მსაჯის განკარგულება:

— ცეცხლის ხაზთან, იარ!

თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის ნორჩმა სპორტსმენებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები გვაჩვენეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისელმა შ. ქველიაშვილმა. მან მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში საკავშირო პირველი თანრიგის ნორმა შეასრულა.

როდესაც მსაჯთა კოლეგია მისი შედეგები შეაჯამა, გამოიკვია, რომ მას პირველი თანრიგის ნორმის გარდა რესპუბლიკის ახალი რეკორდიც დაემყარებია. კარგი შედეგები აჩვენეს აგრეთვე ე. სახოწოვმა, რ. ანანიკიანმა, ე. ბოგდიროვმა.

საერთო პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის I ნაკრები გუნდი.

ღ უ რ ა ჴ ე რ ი *

რუმინეთის უდიდესი ეროვნული პოეტი მიხეილ ემინესკუ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (1850—1889 წ. წ.).

ემინესკუს შემოქმედებაში ყველაზე სრულყოფილად გამოიხატა რუმინელი ხალხის საუკეთესო იდეალები, მისი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და უკეთესი მერმისისათვის.

საბჭოთა არმიის მიერ გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებული რუმინელი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობაში ემინესკუს დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს. ემინესკუს ლექსები და პოემები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულადაც.

ქართულად მ. ემინესკუს ლექსები თარგმნა გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე მ.
ვბეჭდავთ მის მიერ თარგმნილ ემინესკუს პოემა-ზღაპარს „ლუჩაფერი“.



ცხოვრობდა ერთი მეფე მორქმული,
ქვეყნად არ ჰყავდა ტოლი,
მტკიცედ ნაგები, კედელმორტყმული
ჰქონდა სასახლე ბროლის.
იღვა კოშკები ცაში ასული,
ვერ მისწვდებოდა თვალი,
ხელმწიფეს ჰყავდა ტურფა ასული,
ულამაზესი ქალი.
ყოველამ, როცა ბინდი დგებოდა
წყვიდიანი კუბრის ფერი,
ასულს სასახლის თაღთან ხედებოდა
ვარსკვლავი ლუჩაფერი.
ანოლიოდა ზღვიდან კამკაშით,
და მისი შუქთა კრთომა,



ყალყზე შემართულ ზვირთთა ალყაში
გზას უხანებდა ნომალდს.
არა უხრალო წამი გართობის,
ორივეს სწავდა ალი,
ქალს შეუყვარდა შორი მნათობი, —
მნათობს — ხელმწიფის ქალი.
ვარსკვლავის დარდი
კლავდა ქალთა მზეს,
სწავდა ღამით და დღისით,
და წრფელი ტრფობით იყო აღსავსე
მთელი არსება მისი.
ვარსკვლავიც ცაში მისთვის ნათობდა,
შუქს მისთვის ჰვენდა ღამით.
სატრფოს დანახვას ახლო ნატრობდა,
სასახლის თაღქვეშ წამით.
დაცქერდა, მაღალ თაღს ეხვეოდა
სურვილით ლუჩაფერი;
სატრფოს იდუმლად თან შეჰყვებოდა
ოთახშიც შუქთაფენით.
როცა ასული მარტო წვებოდა,
ირგვლივ არ იყო არვინ,
ის სატრფოს ხელზე შუქად დნებოდა,
თვალს უხუჰავდა კრძალვით.
სარკიდან უხვად უცუქცეული
ვარსკვლავის შუქის ჩქერით,
მძინარე სატრფოს თეთრი სხეულიც
იყო იმ შუქის ფერი.
მასზე დაღწობის გულით მნატრელი,
სულ უმატებდა ბრწყინვას
და ლუჩაფერის დიდი ნათელი
სულში წვდებოდა მძინარს,
და სიზმარეულ ძილში წასული
ქალი ეტყოდა წყნარად:

* ლუჩაფერი — მწუხრის ვარსკვლავი.

— ციდან მოგიხმობ ნეფის ასული,
მოდი, მომხედე ჩქარა.
სხივეების თოკით დაბლა დაეშვი,
ირგვლივ გაფანტე ბინდი,
სული მოცული ბნელი კაემნით
შუქით აანთე დიდით.
იღვა მნათობი კრთოდა, ლელავდა,
ჩურჩულს უსმენდა ტუჩებს,
უეცრად ადგის მოწყდა ელვად და
ზღვაში ჩაფარდა უცებ.
მაღლა ავარდა ზღვიდან ქარბუქი,
შუქს შემოერთყა ალყად
და თვალტანადი უცხო ჭაბუკი
მაღლა ამოყვა ტალღას.
მეფის სასახლე მრავალსართულ
განვლო, ვით მცირე ქოხი,
ზღვის ყვავილებით კოხტად დაწნული
ხელთ ეპყრა ლერწმის ჯოხი.
უცებ გადავლო ღია სარკმელი,
ვით ღია კარის ზღურბლი,
ოქროს ხუჭუჭის მკრთალი ნათელით
ჰქონდა შემკული მუბლი.
სახეს დაჰკრავდა ფერი მიხდილი,
მთლად სანთელივით მკრთალი,
და ენთო, როგორც ორი ყინული —
ორი მგზნებარე თვალი.
— მიხმე, მოველ და
კრძალვით გიცქერი,
შენზე ვფიქრობდი მეცა,
ჩემი დედაა ბნელი ზღვის ფსკერი,
მამა — ნათელი ზეცა.
ხელახლა გაგზინდი მღვრიე ტალღებში,
ციდან დავემვი უცბად,
მოველ, სასახლის მაღალ თაღებში
რომ შენ შენახე ტურფავ.
წამომყე, ჩემთან ცაში ილხინე,
ქვეყნად ვით უნდა გასძლო,
მე კვლავ ვარსკვლავის
ტახტზე ვიბრწყინებ,
შენ იყავ ჩემი სასძლო.
იცოცხლებ მარად ცათამბკრობელი
ნარად, ღრუბლებში ფრენით,
და ზღვის მცხოვრები არსი ყოველი
მონა იქნება შენი.
— შენ ლამაზი ხარ,
ვით ზაფხულის მზის
ამონათება დილით,
მაგრამ, ძვირფასო,
რა ვქნა, შენი გზით
მე რომ ვერასდროს ვივლი.
მე ცოცხალი ვარ,
შენ თითქმის მკვდარი,
მხოლოდ უსულო სხივი,
სხეულს მიყინავს აგრე ფერნკრთალი
შენი ნათელი ცივი...
დრომ განვლო, ორი ღამე გასრულდა
და დღე გავიდა სამი,
კვლავ დაიბადა მეფის ასულთან
სატრფო ვარსკვლავი ღამით.

სიზმრად ზედავდა ქალი მძინარი
მშვენიერ ჭაბუკს, ალბათ,
მწუხარე, სახეგაუცინარი
მიჩერებოდა ხარბად.
შეთხოვდა: ციდან დაბლა დაეშვი,
გამომიწოდე ხელი,
სული მოცული შენზე კაემნით
ღამით და დღისით გელის.
ქრება ვარსკვლავი, ალბათ, ვედრებას
სატრფოსას ვეღარ უძლებს,
და ზეცას ცეცხლის ალი ეღება,
სადაც ის გაჰქრა უცებ.
ცაში ავარდა წამსვე ქარბუქი,
გრივალს გრივალი მისდევს,
და მშვენიერი უცხო ჭაბუკი
ქაოსს ცილდება ისევ.
ოქროს გვირგვინი ბნელი ღამითაც
უნათებს თმების გიშვრს,
დგას და შავბნელი მოსასხამიდან
მარმარის ხელებს იშვერს.
ჯავრით შუბლშეკრულ
ვარსკვლავს — ლუჩაფერს
ფერი მკვდარს უგავს მკრთალი,
გაყინულ სახეს ნათელ შუქსა ჰფენს
ორი ბრიალა თვალი.
— მიხმე და მოველ შენი ნორჩილი,
შენს მტკიცე პასუხს ველი,
ჩემი მამაა მზე შუქმოსილი
და დედა — ღამე ბნელი.
წამომყე, ვიდრე არ არის გვიან,
უშენოდ როგორ გავძლო,
მე მაღალი ნზის შემკვიდრე მქვია,
შენ იყავ ჩემი სასძლო.
თავზე დაგადგამ
ვარსკვლავთა გვირგვინს,
მზე შემოგვხედება ტაშით,
შენ დაბნელებ მნათობებს ირგვლივ
შენი მშვენიებით ცაში.
— შენ ლამაზი ხარ
ვით ზაფხულის მზის
ამონათება დილით,
მაგრამ, ძვირფასო, რა ვქნა, შენი გზით
მე რომ ვერასდროს ვივლი.
გულს კაწრავს შენი
ტრფობის ბრწყვალელები,
თითქმის წამერთო ძალი,
ცეცხლს მიკიდებენ შენი თვალები
ღამნაცრებელი ალით.
— შენ თვითონ იცი,
ეს ტრფობა მწველი,
მე ვერ მიმჯაჭვავს მიწას,
სიკვდილი გელის,
შენ, მოკვდავს, ბოლოს
მე უკვდავება მიცავს.
— შენი ხმა ნესმის უცხო ჰანგებად,
ყურა ვერ დაგივლებ ღზენით,
მესაუბრები თუმც ვასაგებად,
მაინც არ მესმის შენი.



თუ შენც გიყვარვარ,
და მართლა გინდა,
ტრფობის დაგიდგა ტახტი,
შენც უკვდავება დატოვე ცის და
ჩემებრ მოვვლავი გახდი.
— მე უკვდავება მიყვარდა, ღამით
ცაზე ანთებულ მნათობს,
მაგრან ველარ ვძლებ უშენოდ წამით
და უკვდავებას დავთმობ.
ახალ ცხოვრების კანონს ვიწამებ,
ძველ ჯაჰვს გავწყვეტავ ძალით,
შენებრ მიმიღებს შავი მიწა მეც,
ღამეხუტება თვალი.
ეს თქვა და როგორც ტყვიანაკრავი
ღამეში უცებ გაჰქრა,
სადაც ვარსკვლავებს
მოსწყდა ვარსკვლავი,
და ბნელს გაეკრა ლახვრად.

ამ დროს ცბიერი ერთი მსახური,
ერთი უბრალო ვაჟი,
არა მახინჯი და უსახური —
თვითონ დედოფლის პაჟი,
ვინც მერიქიფე იყო ქეიფში
და განბედავი ჩანდა,
ვისაც დედოფლის ეპყრა შლეიფი
და უკან სდევდა ლანდად,
ერთი უგვარო, შინაყმის სწორი,
ღვინით ამვსები ჯამთა,

ხელმწიფის ასულს უცქერდა შორით
და თითქო თვალით სჭამდა.
„რა ტურფა გაჩნდა, რა საოცარი,
მიზიდავს, როგორც ჯადო,
ჰეი; კატალინ, სწორედ დროც არი,
ბედი თუ გინდა სცადო“.
და უთხრა ქალმა: მახსოვხარ ყბედი
ბაღლი იყავი ჯერაც,
შენ როგორ განდო მე ჩემი ბედი
და ჩემი ბედისწერა.
მაგრამ სხვა არი ჩემი ოცნება,
ნე სხვა არავინ მინდა.
ის არის ბნელის გასხივოსნება,
შუქი უქრობი, წმიდა.
შორიდან მეტრფის
და შუქის ფრქვევით
მალღდება, არ გრძნობს დაღლას,
მეძანის, მიდის სულ ზევით, ზევით,
მე კი ვერ მივსდევ მაღლა.
ცივ სხივებს მტყორცნის
ციდან ცთომილი,
და ჩემთვის ესეც კმარა;
შორია თუმც და მიუწვდომელი,
მანც მას ვეტრფი მარად.
ღღე ჩემთვის არის უდაბნო ბნელი,
მკლავს უმისობის სევდა,
მზის ჩასვლას გულის
ფანცქალით ველი,
ღამით ლუჩაფერს ვხედავ.
— შორს გადვიკარგოთ,
რა დროს ეგ არი,
იქ მომყე, არ ხარ ბაღლი,
სადაც ვერ ნახავს
ჩვენს კვალს მღვეარი,
სადაც ვერ გვიცნობს ხალხი.
იქ ბედნიერად ვიცხოვრებთ ორი,
კმაყოფილები ბედის,
დაგავიწყდება ვარსკვლავიც შორი,
ტკბილი ალერსიც დედის.

პა, ლუჩაფერი,
მძლავრ ფრთებგამლილი,
ტოვებს ვარსკვლავთა წყებას,
ას წელს სავალი გრძელი მანძილი
ერთ წუთში უკან რჩება.
თუმც ვარსკვლავები
აკრავს ვით ჯარი,
მათი აღარ აქვს ფიქრი,
ვით გატყორცნილი ელვის ისარი
მნათობებს შორის მიჰქრის.
— ჰე მზეო, დარდი მკლავს გაუმხელი,
ხვეწნა ისმინე შვილის,
ფთხოვ უკვდავების ამხსნა უღელი,
სხვისთვის ესოდენ ტკბილი.
სიკვდილ-სიცოცხლე
ზომ შენს ხელთ არი,
გვედრებ, გამციცხო თუნდაც,


მე უკვდავება არ მსურს ნეტარი,
ის ჩემთვის იქცა ხუნდად.
არ მსურს მარადი შუქი მნათობის,
ტახტი ვარსკვლავთა გვერდით,
სანაცვლოდ მხოლოდ
ტრფობის და ტკბობის
მომეც საათი ერთი.
— შენ მე შეგქმენი
უკვდავად თვითონ,
დღეს სიკვდილს როგორ ცდილობ?
სასწაულს ნუ მთხოვ უმაგალითოს,
ლუჩაფერ, ჩემო შვილო.
გსურს მიწიერი ცხოვრების განცდა,
თვით ხედები თავის მკვლელი?
ხანმოკლე არის სიცოცხლე კაცთა,
ცელავთ სიკვდილის ცელი.
ბევრი ვერ უძლებს მათ მნელ მხარეში
ჩავგრას და ბედთან ჭიდილს,
მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ
დროის გარეშე,
არ ვცნობთ ნგრევას და სიკვდილს.
შენ უკვდავი ხარ,
ცეცხლით ხარ სავსე,
ტრიალებ ქვეყნის ირგვლივ,
ოღონდ მთხოვე და
ბრწყინვალე თავზე
დაგადგამ სიბრძნის გვირგვინს.
მთხოვე და შენს ხმას ჰანგი საამო
არ მოცილდება წუთით,
შენს სიმღერაზე დილა-საღამოს
იცეკვებს მიწის ბურთი.
ჯარს მოგცემ, გემებს
სამყაროს მომვლელს,
დალაშქრავ ქვეყნის ბოლოს,
მე ავასრულებ
შენს თხოვნას ყოველს,
სიკვდილს ვერ მოგცემ მხოლოდ.

* * *

ჰიპერიონმა ცეცხლოვან რაშით
გეზი იცვალა ხელად,
თავის ადგილზე დაბრუნდა ცაში,
სადაც ბრწყინავდა ძველად.

ნწუხრზე მზის შუქის გაჰქრა ნასახი,
ცამ ჩამოუშვა ჩადრი,
და წყნარ ღამეში ჩუმი ცახცახით
მთვარე ამოდის ზადრი.
ბილიკებს სერავს ჩრდილები ხეთა,
ცაცხვის ტოტებქვეშ გრილა,
და ხეივნებში მიჯნურნი სხედან
მტრედების მსგავსად წყვილად.
„ასე ერთარსად ვიქცეთ ერთთავე,
რომ ვიგრძნო ტრფობის მადლი,
აავსე ჩემი სული მშფოთვარე
შენი სიმშვიდის ნათლით.
შენი ამბორით გული ცოცხლდება,
თითქო ქცეული ნაცრად,
შენ ხარ პირველი ჩემი ოცნებაც,
უკანასკნელი ნატვრაც“.
ლუჩაფერს ესმის ჩურჩული ნელი,
ქალ-ვაჟს შესწრო თვალი:
ვაჟმა, როგორც კი მოჰხვია ხელი,
მკერდზე მიეკრა ქალი.
თავსა სწევს ქალი, ამბორის ჩქამი
თითქო უეცრად აკრთობს,
ლუჩაფერს თვალი შესწრო წამით
და ეუბნება მნათობს:
— ლუჩაფერ მოდი, დაბლა დაემვი,
გამომიწოდე ხელი,
ვით ჩემი სული სავსე კაემნით,
ტყეც გაანათე ბნელი...
ჰიპერიონმა ერთი დღე
და ძველებურად, მაგრად,
პობოქრებულ ზღვაზე ძლიერად
ზვირთს უცებ ზვირთი დაჰკრა.
მაგრამ კვლავ აღარ ჩავარდა ზღვაში,
ვაჟად არ იქცა სწრაფად.
უთხრა: ვინ გინდა, მე თუ ეგ ვაჟი?
ერთერთს გვატყუებს, ალბათ.
მე აღარა ვარ ზეცის დამთმობი,
გულს გული ეძებს სწორი,
მე მინდა ისევე ვიყო მნათობი,
უკვდავი, მაგრამ შორი.

თარგმნა ბრიგოლ აბაშიძემ.





როგორ დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი

მიიწერა ზაფხულის არდადეგები. კიდევ რამდენიმე დღე — და წარუშლელი შთაბეჭდილებებითა და ახალი ენერგიით აღსავსე პიონერ-მოსწავლეები მშობლიურ სკოლებს დაუბრუნდებიან.

ახალი სასწავლო წელი საინტერესო და მრავალფეროვან მუშაობას მოითხოვს პიონერთა ორგანიზაციისაგან. საქირთა ამთავივე სერიოზულად და გულდასმით მოვიფიქროთ თუ როგორ წარვმართოთ საქმიანობა ისე, რომ პიონერული ცხოვრება ხალისიანიც იყოს და ამასთან ხელი შევუწყუთ მოსწავლეებს, სკოლას აკადემიური მოსწრების ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

პიონერთა ორგანიზაციების მუშაობაში ამჟამად დგება ერთერთი პასუხსაგები მომენტი: რგოლებში, რაზმებსა და რაზმეულებში იწყება ანგარიშგება-არჩევნები.

ანგარიშგება-არჩევნების როგორც ტექნიკურად, ასევე შინაარსიანად ჩასატარებლად საქირთა მეცადინეობის დაწყების პირველსავე დღეს (სასურველია უფრო ადრეც) თავი მოიყაროს პიონერულმა აქტივმა, რგოლის ხელმძღვანელებმა, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს წევრებმა და უფროსებთან ერთად განიხილონ ანგარიშგებისა და არჩევნების ჩატარების საკითხი. უფროსმა პიონერხელმძღვანელმა დაწვრილებით უნდა გააცნოს აქტივს ანგარიშის მომზადებისა და არჩევნების ჩატარების წესი, რგოლის ხელმძღვანელებს, რაზმებისა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეებს ასწავლოს, თუ როგორ მოუთხრონ მათ თავიანთ ამხანაგებს ჩატარებული მუშაობის შესახებ, როგორ ჩაატარონ ანგარიში.

ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა მოიცავდეს ყოველივე იმას, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს პიონერთა თვითმოქმედებასა და ინიციატივას, დარაზმეულობასა და კოლექტიურობას როგორც სწავლასა და დისციპლინაში, ასევე საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ანგარიში ჩატარებული მუშაობის ანალიზს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, მასში მოცემული უნდა იქნას ის ნაკლოვანებანიც, რასაც მუშაობაში ჰქონდა ადგილი, მითითებული უნდა იქნას იმ მიზეზებზე, რაც ამ ნაკლოვანებებს იწვევდა. ასეთი ანგარიშის შედეგმა არც თუ ისე ადვილია. პიონერს ამ საქმეში უსათუოდ დასჭირდება უფროსების დახმარება, მაგრამ ამ დახმარებამ ინტერესი და პასუხისმგებლობა არ უნდა ჩაახშოს მათში, პირიქით, უფროსის დახმარებით, ძირითადი საკითხების ჩვენებით, რჩევა-დარიგებით პიონერმა უნდა იკარგოს მთელი ის პასუხისმგებლობა, რაც მას აკისრია როგორც ხელმძღვანელს.

ანგარიშის ძირითადი საკითხები უნდა დაიწეროს. მაგრამ მისი სიტყვა-სიტყვით წაკითხვა სწორი არ იქნება. საქირთა თავიდანვე მივეჩვიოთ აზრის ზეპირად გადაცემას, თვისების გამოყენებას.

ანგარიშის განხილვის შემდეგ პიონერები შეუდგებიან ახალი ხელმძღვანელობის არჩევას.

სამუშაობად, არის შემთხვევები, როცა არჩევნები არასერიოზულად და ნაუცბათევად ტარდება და რგოლის ხელმძღვანელებად, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს წევრებად შეუდგებიან მოსწავლეებს ირჩევენ. უპასუხისმგებლოდ ჩატარებული არჩევნების შედეგად აქტიურ პიონერებსაც კი ეკარგებათ მუშაობის ხალისი, ფორმალურად თვლიან მათ არჩევას.

ვის აირჩევენ პიონერები თავიანთ ხელმძღვანელებად — ეს მათივე საქმეა. არჩევნების დროს პიონერებისათვის საუკეთესო დახმარება იქნება, თუ მათ დროულად განუმარტავთ როგორი უნდა იყოს აქტივისტი, რა მოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრება მას, რომ რგოლის ხელმძღვანელად,

რაზმებისა და რაზმეულის საბჭოს წევრებად ის კი არ უნდა იქნას არჩეული, — ვინც ბევრს ლაპარაკობს და სინამდვილეში არაფრის გამკეთებელია, არამედ ის, ვისი სიტყვა და საქმეც განუყოფელია, ვინც ამხანაგის, კოლექტივისა და ორგანიზაციის ინტერესს თავის თავზე მალა აყენებს, ვისაც უნარი შესწევს დარაზმის თავისივე ტოლები, ვინც პრინციპული, მომთხოვნი და სამართლიანია.

ანგარიშგება-არჩევნები, მიუხედავად რაზმეულის სიდიდისა, უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება მოკლე დროში — სექტემბრის ბოლომდე მაინც.

რაზმეულში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების განრიგი რაზმეულის საბჭომ უნდა შეადგინოს. სწორად მოიქცევიან ის სასკოლო კომპაგვიის კომიტეტები, რომლებიც ამ საკითხს სპეციალური მსჯელობის საფუძველზე განიხილენ. არჩევნები უნდა ჩატარდეს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დებულების მიხედვით. რგოლის ხელმძღვანელები აირჩევიან რგოლის შეკრებაზე, რაზმის საბჭოს წევრები, 3-5 პიონერის შემადგენლობით, აირჩევიან რაზმის შეკრებაზე. რაზმის ხელმძღვანელი აურჩევლად შედის რაზმის საბჭოს შემადგენლობაში. მაგალითად, თუ პიონერები საბჭოს შემადგენლობას 5 კაცით განსაზღვრავენ, აირჩევენ 4 პიონერს, მეხუთე კი ხელმძღვანელი იქნება. რაზმის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს. თუ რაზმში 10-ზე ნაკლები პიონერია — საბჭოს ნაცვლად აირჩევა ერთი პიონერი — რაზმის თავმჯდომარე.

რაზმეულის საბჭოს პიონერები აირჩევენ რაზმეულის შეკრებაზე. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება რაზმეულის სიდიდის მიხედვით. საბჭოში შეიძლება იყოს 3-დან 15 წევრამდე. უფროსი პიონერხელმძღვანელი აურჩევლად შედის საბჭოს შემადგენლობაში. იმ რაზმეულში, სადაც ათზე ნაკლები პიონერია, აირჩევა არა საბჭო, არამედ რაზმეულის თავმჯდომარე.

როგორც რგოლის ხელმძღვანელების, ასევე რაზმისა და რაზმეულის საბჭოს წევრების არჩევნები სწარმოებს ღია კენჭისყრით. საქირთა განსაკუთრებული ყურადღებით და სერიოზულობით მოვეციდეთ ხმის დათვლას. უნდა გამოვყოთ ხმის დამთვლელები, რომელთაც დაევალებათ პიონერთა გარკვეული ნაწილის ხმის დათვალა.

რაზმეულის საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეკრების გეგმა-პროგრამა გულდასმით უნდა იქნას შემუშავებული რაზმეულის ძველი საბჭოს მიერ, რომ შეკრების დროს ყველაფერი წესიერად მიდიოდეს.

რაზმეულის ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში პიონერთა ოთახში ან სხვა თვალსაჩინო ადგილას უნდა მოეწყოს პიონერების მიერ სწავლისა და არდადეგების პერიოდში ჩატარებული ნამუშევრების გამოფენა. საუკეთესო კოლექციები, ჰერბარიუმები, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოები, მოდელები, მაკეტები, ალბომები, კედლის გაზეთები, მარ. შრუტები, საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის ამსახველი მასალები და ფოტოსურათები. ყოველივე ეს თვალსაჩინოს გახდის წლის მანძილზე რგოლების, რაზმებისა და რაზმეულის მუშაობას.

ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების მოკლე და ნათელი ანგარიში დღიურის სახით უნდა შევიტანოთ ახალი რაზმეულის ალბომში, ძველი რაზმეულის უქანასკნელი დღიურის ნომრით.

ბ. ვარდოსანიძე,

საქართველოს ალკეც მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.



„რობინ ჰუდი“

ყველა ხალხს აქვს საუკუნეებში შექმნილი უკვდავი სიმღერა თავის საყვარელ გმირზე. ამგვარი სიმღერა



თაობიდან თაობაში გადასულა და ჩვენ დრომდე მოღწეულა დაუძველებელ ქმნილებად. ერთერთი ასეთი სიმღერაა „რობინ ჰუდი“, რომელიც ასეული წლების განმავლობაში შეუქმნია ინგლისელ და შოტლანდიელ ხალხს. რობინ ჰუდის შესახებ ათასნაირ სათავგადასავლო ეპიზოდებ-

ზე ხალხი ჰქმნიდა ბალადებს. დროთა განმავლობაში ეს ბალადები შეუერთებიათ უცნობ ხალხურ მომღერლებს და რობინ ჰუდის ამბავს მთლიანი სახე მიუღლია.

რობინ ჰუდის პიროვნებაში, მის გმირულ თავგადასავალში მკაფიოდ ჩანს ხალხის კაცთმოყვარეობა, „ქეთილშობილება“, გონება-მახვილობა, ფლიდობის, გაუტანლობის, ძალმომრეობისადმი დაუფარავი სიძულვილი, დავრდომილთა და ლატაკთა მოსარჩლეობა. რობინ ჰუდი თვითონ ხალხია ერთ გმირში გაცოცხლებული.

რობინ ჰუდი უჩვეულო ძალღონის პატრონია. მისი მშვილდისარი უმტყუნო იარაღია ვაჟკაცის ხელში ჩაგრულთა ქომაგი ვარს შემოიკრებს მისებრ შეუპოვარ და მართალ ადამიანებს. პატარა ჯონის, სტატლის, მანს, სკარლეტს და სხვებს, ჰქმნის რაზმს და შერვუდის ტყვეში ბინადვე-

ბა. რობინ ჰუდი იქ გამოჩნდება ხოლმე, სადაც უსამართლობაა, და სამართალს ამყარებს. იგი ამარცხებს ნოტინგემელ მეტყვეებს, რომლებიც ხალხს ავიწროებენ; სიცოცხლეს უმწარებს წამლეფჯ ყასბებს; ამასხარავეებს შერიფს; ტყვეობიდან ათავისუფლებს ვილ სტატლის; განსაცდელში შველის კეთილშობილ ჭაბუკს ალან დევილს; ხელს უმართავს სამი შვილის დედას — ქვრივ ქალს; ამასხრებს და უსამართლოდ მიხვეჭილ ოქროს ართმევს მღვდელმთავარს, შემდეგ ცხენზე უყუდმა შესვამს და ისე გაისტუმრებს; ვაჟკაცურად ამარცხებს ორთა ბრძოლაში ფლიდსა და მოღალატე გიი გისბორნს.

ასეთია ამ ბალადების შინაარსი. მათში წამყვანი მოტივებია ვაჟკაცობა, კეთილშობილება, სამართლიანობა.

რობინ ჰუდის ვაჟკაცური თავგადასავალი შორეულად მოაგონებს მკითხველს ქართული ხალხური ეპოსის შესანიშნავ გმირს — არსენა

ოძელაშვილს. „რობინ ჰუდი“ სრულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ინგლისურ და შოტლანდიურ ფოლკლორზე.

აქვე შეტანილი ბალადები „მეწისქვილე“, „ადე, ჩარახე კარი“, „მეფე ჯონი და კენტერბერის აბატი“ და სხვები მკაფიოდ გადმოსცემენ ინგლისელი და შოტლანდიელი ხალხების ყოფა-ცხოვრებით სურათებს.

ბალადები რობინ ჰუდზე გემოვნებით, თავისუფლად, ლაღი ქართული ლექსით უთარგმნია გ. გაჩეჩილაძეს. თარგმანი ორიგინალის შთაბეჭდილებას ახდენს. „რობინ ჰუდი“ ქართველი მოზარდი თაობის საყვარელ წიგნად გადიქცევა უთუოდ. ზეპირსიტყვიანობის ეს იშვიათი ნიმუში იმაზე მეტყველებს, რომ საუკუნეობით შექმნილი რჩეული ხალხური სიმღერები არასოდეს კვდებიან და მათში ყოველი თაობა პოულობს ახალსა და საინტერესოს.

ბ. ხუბუაშვილი

ს. იორამაშვილი — „ვერხვის ჭალაში“

საბავშვო წიგნის თაროებს კიდევ ერთი საინტერესო მოთხრობათა კრებული შეემატა. სოსო იორამაშვილის წიგნი „ვერხვის ჭალაში“ ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდობას მოუთხრობს სამშობლოსადმი სიყვარულზე, მეგობრობაზე, მობურთეობაზე, გამბედაობაზე.

წიგნი იხსნება მოთხრობით „ვერხვის ჭალაში“, რომელშიც დამაჯერებლად, მართლად არის ნაჩვენები რიგითი საბჭოთა ადამიანის სიფიზღე. მონადირემ საზღვრისპირა რაიონში ვერხვის ჭალიდან აფრენილი მტრედი მოკლა, რომელსაც საიდუმლო ბარათი აღმოა-

ჩნდა. მონადირე დაეკვდა: დივერსანტი, რომელმაც ეს მტრედი ააფრინა, იქვე ჭალაში ხომ არ არისო. მაღლე ამაში თითქმის დარწმუნდა, როდესაც უცნობს მოჰკრა თვალი, და გადაწყვიტა შეეპყრო იგი. არც ისე ადვილი იყო განზრახულის შესრულება, მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარულმა მას ძალა შეემატა და უცნობი შეიპყრა — იგი უცხოეთის დახვერვის ჯაშუში აღმოჩნდა.

არანაკლები ინტერესით იკითხება მოთხრობა „ტყულის თოფი“. ერთ უქმედღეს სანადირედ გავიდნენ ძველი მეგობრები: დავითი, კოტე, ლევანი, მირზა, შაქ-

რო და სხვები. განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევდა შორი მანძილიდან შაქროს ზუსტი სროლა. მონადირეები დაინტერესა შაქროს თოფმა. იგი არც ბელგიური იყო, არც გერმანული, არც ინგლისური, არამედ ტულელი ხელოსნის მარჯვენით იყო ნაკეთი.

სხვა მოთხრობათა შორის გამოირჩევა „გიგა და ბაბრა“. ექვსი წლის გიგას აწუხებს, რომ მისი გმირობა გააზვიადეს და ისეთი რამეც კი მიაწერეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ბავშვი მანამდე ვერ დამშვიდდა, სანამ უფროს დას სიმართლე არ უთხრა.

ს. იორამაშვილის „ვერხვის ჭალაში“, რომელიც ამ



ცოტა ხნის წინათ გამოსცა „საბლიტგამმა“, კარგი საჩუქარია მოზარდი თაობისათვის.

ვაჟა მებუკა

მოკლედ ყველაფერზე

აპტობუსი „ზის-127“

ავტობუსი „ზის-127“ აგებულია მოსკოვში, ი. ბ. სტალინის სახელობის ავტოქარხანაში, რომელმაც საცდელი გადარბენა მოახდინა ავტოსტრადით მოსკოვი—სიმფეროპოლი. იგი მოწყობილია ნახევრადსაძინებელი რბილი სავარძლებით, მგზავრს შეუძლია სურვილის მიხედვით მდგომარეობა შეუცვალოს ბალიშს და სავარძლის საზურგეს. ყოველ სავარძელს მიმაგრებული აქვს რადიოყურმილი, რომლითაც მგზავრები რადიოგადაცემებს უსმენენ. ავტობუსში გზის მტკერი და მოტორის გაზი ვერ შეიკრება—კარები და ფანჯრები მაგრადაა დაკეტილი. შიგ დაცულია მუდმივი ტემპერატურა, სუფთა ჰაერს სპეციალური ვენტლიატორი იძლევა. ზამთრის პერიოდში მგზავრობისათვის მოწყობილია გასათბობი ხელსაწყოები. ფანჯრის მიწებს თბილი ჰაერი უბერავს, რომ ძლიერი ყინვისაგან არ გაიყინოს.

ავტობუსის მძღოლს მრავალი მექანიკური თანაშემწე ემსახურება. მუხრუჭების დაზიანების შემთხვევაში ავტომატურად ამუშავდება სიგნალი, რომელიც ამცნობს მძღოლს იმის შესახებ, რომ მანქანა წესრიგში არ არის. ავტობუსს შეუძლია საათში განავითაროს ას კილომეტრამდე სიჩქარე. სახურავზე დადგმულია ძლიერი პროექტორი, რომელიც მანქანას გზას უნათებს. ამ წელს ქარხანა გამოუშვებს ამგვარი მანქანების პირველ პარტიას.

როგორ თამაშობდა აკულა ბურთს

ეს შემთხვევა ატლანტიის ოკეანეში მიხდა, როდესაც ვეშაპმჭერი ფლოტილია „სლავა“ შინ ბრუნდებოდა.

პაპანება იყო. მზე უმოწყალოდ სწვავდა, როდესაც ფლაგმანის გემზე მეზღვაურები სპორტულ დღესასწაულს ატარებდნენ.

— „ახლა ერთმანეთს შეხვდებიან ფრენბურთის გუნდები“ — გამოაცხადა დირექტორმა.

— ოღონდ ძლიერად ნუ დაარტყამთ თორემ ბურთი აკულებთან გადაფრინდება, — ეხვეწებოდა ფრენბურთელებს „სლავას“ კულტმუშაკი.

მაგრამ... დარტყმა—და... ბურთი გემის ქიმის გარეთ აღმოჩნდა.

— დავიღუბე!—უიმედოდ ჩაიქნია ხელი კულტმუშაკმა. — წყალში ვინ ჩავა... იქ

აკულები უფრო ჭარბადაა, ვიდრე ცაში ვარსკვლავები.

კულტმუშაკი მართალს ლაპარაკობდა: ტროიკები—აკულების სამეფოა. საკარისა გაჩერდეს გემი, რომ აკულები გუნდვად მოცურავენ ყოველი მხრიდან.

მეზღვაურები თვალყურს ადევნებდნენ ბურთს, რომელიც ოკეანის წყნარ, სარკისებურ წყალში მიცურავდა. უცებ ბურთი ჰაერში ახტა, მეტრნახევარზე გადაიფრინა და წყალზე დაეცა. შემდეგ ისევ ჰაერში ახტა.

რა საკვირველება? ეგებ მყვინთავია, მაგრამ საიდან გაჩნდებოდა მყვინთავი ამ უნაპირო ოკეანეში?

ვიღაცის საიდუმლო ხელი კვლავ ამოძრავებდა ბურთს. ვეშაპმჭერი „სლავა—5“ მიცურდა ბურთთან და მეზღვაურებმა უჩვეულო რამ დაინახეს: ბურთს ვაშმაგებით მისდევდა ვეებერთელა სამმეტრიანი ცისფერი აკულა.

აკულა მიცურდებოდა ბურთთან, აპკრავდა ცხვირს და ცდილობდა მახვილ კბილებში მოექცია როგორმე. მაგრამ მრგვალი ბურთი, როგორც კი თევზის ცხვირი შეეხებოდა, მყისვე შორს გარბოდა. გააგებული აკულა ისე იყო გართული ამ თამაშით, რომ მანქანის ხმაურსაც ვეღარ ამჩნევდა.

— აკულა ფეხბურთს თამაშობს!..—იცი-ნოდნენ ვეშაპმჭერები.

ჩვენი გემები სამხრეთისაკენ მიცურავდნენ, მაგრამ კიდევ დიდხანს ვხედავდით ღურბინდით, თუ როგორ ეთამაშებოდა ბურთს ონავარი აკულა.

შინაური ბვილი


სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში — ბრაზილიასა და ვენესუელაში—ცხოვრობს მახრიბოვანი გველი, რომელსაც სამეფო მახრიბელას უწოდებენ. იგი ერთერთი ულამაზესი ქვეწარმავალია. სიგრძით 4 მეტრს



აღწევს. მისი მორუხო—მოწითალო ტანი დაფარულია მსხვილი ფერადი ლაქებით. გვერდებზე — ყვითელი ლაქებით, ხორბორ კულზე — წითლით.

სამეფო მახრიბოვლები დიდი რაოდენობით ანადგურებენ ვირთხებს, ამიტომ ახალგაზრდა მახრიბოვლები ამ ქვეყნებში გაშვებული ჰყავთ საწყობებში, ბელღებში, საცხოვრებელ ბინებში. დამამობით იგი ნადირობს, დღე კი იქვე, სადმე ახლომახლო, მზეზე თებდა, ან სძინავს.

სამეფო მახრიბოვან ძალზე ერეგვა სახლკარს და, თუ იგი გააჩუქეს, ან სადმე სხვაგან გადაიყვანეს, უკანვე ბრუნდება. ხშირად მას სახლთან ერთად ჰყვინთავს ხოლმე. ბრაზილიის სოფლებში შინაური მახრიბოვლები — ჩვეულებრივი მოვლენაა.



თევზი — სანთელი

ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროსთან, ალიასკიდან ოროგონის შტატამდე, წყნარ ოკეანეში ცხოვრობს ეულახონი — დაახლოებით 30 სანტიმეტრის სიგრძის თევზი.

უხსოვარ დროში ინდიელები ამ თევზს თავიანთი ქოხების გასანათებლად იყენებდნენ, რადგან იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ქონს.

ინდიელები შაშხად გამოყვანილ ეულახონში პატრუქს უყრიდნენ, ვერტიკალურად დამაგრებდნენ თევზს და პატრუქის წვერს ცეცხლს მოუკიდებდნენ; მიიღებდნენ თავისებურ სანთელს, რომელიც ნელ-ნელა და თანაბრად იწვოდა.

ახლა ეულახონისაგან ამზადებენ სამკურნალო ქონს, რომელსაც „თევზის ქონზე“ გაცილებით სასიამოვნო გემო აქვს.


ქადრაკი

თ. გომრბაძის რედაქციით

ორი ლამაზი დაბოლოება


შესანიშნავი ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი (1850—1910 წ.) ფართოდ იყო ცნობილი, როგორც კომპინაციური თამაშის ბრწყინვალე ოსტატი. ყოველ პოზიციაში ა. დადიანი ეძებდა გადამწყვეტ შეწირვას, მოულოდნელ და სხარტ მანევრს. მოგვყავს ორი მათგანი. მონახეთ და შეგვატყობინეთ მათი ამოხსნა.

I



თეთრები იწყებენ და 4 სვლაში შამათს აცხადებენ.

II



თეთრები იწყებენ და 6 სვლაში შამათს აცხადებენ.

ჩვენი უურნალის მიმდინარე წლის № 2 გამოქვეყნებული პოზიციის სწორი პასუხი სრულად შეგვატყობინა რაინდ მინდაძემ (კოჯრის ბავშვთა სახატორიუმი). აი მისი ვარიანტები: 1. de ლ: e4 2. ef ახლა რაც არ უნდა ითამაშონ შავებმა, აგებენ. მაგალითად I. 2... ლ: a4 3. ლd5 + მოგებით; II. 2... ლ: b3 3 ლ: c6 ეd8 4. ლc7 ეf8 5. კ: g7 მფ: g7. ეე7 + მოგებით.

რედაქტორი რევაზ მარგანი

ს არ ედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებაიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии, август, № 8, 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3-81-85. საბლიტგამი.

უფ 03288 ტირაჟი 13.000 ხელმოწ. დასაბ. 30/VIII გამომც. შეჯვ. № 326. სტამბის შეჯვ. № 970. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“



შინაარსი

გიორგი კაჭახიძე — გასეირნება საბავშვო მატარებლით (ლექსი)	83-	1
აკაკი ბელიაშვილი — ჯადოსნური სათვალე (მოთხრობა)		2
ვალერიან ჩეკურიშვილი — მწყემსებთან (ლექსი)		8
კარლო კობერიძე — მოგზაურები (ლექსი)		8
მირონ სურგულაძე — ბანაკში (ლექსი)		8
შალვა ფორჩხიძე — მიდენიან მწყემსნი ფარას (ლექსი)		8
პიონერული ახალი ამბები		9
როდამ ჩაჩანიძე — უფროსი და (მოთხრობა)		10
ზურაბ ლორთქიფანიძე — ახალი რა გავაკეთოთ? (ლექსი)		11
ლევ კასილი — ადრეული განთიადი (მოთხრობა. თარგმნა ბ. შელიამ)		12
რუსუდან პერკინა — ბანაკი ბაკურიანში (ნარკვევი)		15
კარელ ჩაპეკი — ამბავი უცნაური ცეცხლწამკიდებლისა (მოთხრობა. თარგმნა შ. გვირიჩიძემ)		19
ზაქარია შერაზადიშვილი — ნადირთა ქომაგი (პოემა)		21
ირ. უგულუვა — სიკაბუჯის ზეიმი (წერილი)		23
მიხეილ ემინესკუ — ლუჩაფერი (ზღაპარი — პოემა, თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ)		25
გ. ვარდოსანიძე — როგორ დავიწყეთ ახალი სასწავლო წელი (წერილი პიონერებლმძღვანელის დასახმარებლად)		29
გ. ხუბაშვილი — „რობინ ჰუდი“ (წერილი)		30
ვაჟა მებუჯე — ს. იორამაშვილი „ვერხვის ქალაში“ (წერილი)		30
მოკლე დ ყველაფერზე		31
ქადრაკი		32
გასართობი		გარეკანის მე-3 გვ. გარეკანის პირველ გვერდზე — „ნორჩი მოგზაურები“ — ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ვეფხვაძისა. გარეკანის მეორე გვერდზე „მყინვარი სოფელ სნოდან“ — ნახატი ვ. ჯაფარიძისა. გარეკანის მესამე გვერდზე ნახატი — ხუმრობა ა. კანდელაკისა.


უურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მანარაძის, რ. ცუცქერიძის, გ. ფოცხვილის, ნ. შალიკაშვილის, გ. თოთბაძის, შ. ცხადაძის მიერ.



ბასართობი




ბ ა მ ო ც ა ნ ა



რომელი ალამი უფრო გრძელია?

თ ა ვ ს ა ტ ე ნ ი




გადაადგილეთ წიგნები ისე, რომ წიგნების ყუაზე წაეიკითხოთ წინადადება.
როგა თავლიძიშვილი

რ ა ს ა ბ ნ ე ბ ი ა

ნახატზე 9 ყველასათვის ნაცნობი საგანია გამოსახული. ეს საგნები ყოველ თქვენგანს ხშირად უნახავს მაგიდაზე მხატვარმა შეარჩია შედარებით არაბუნებრივი ხედვითი წერტილი და ეს საგნები კონტურით შემოხაზა, მაგრამ თქვენ ამ ხედვითი წერტილიდანაც გიხილავთ ისინი: გამოიცანით რა საგნებია?

მ. ოთაროვი



პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 7-ში მოთავსებულ ბასართობზე

პასუხი ბამოცანაზე „საინტერესო უმცლომა“

მასწავლებელმა მოსწავლეს მისცა რიცხვი - 25.
 $25 \times 5 = 125$; $125 - 60 = 65$.
 $25 : 5 = 5$; $5 + 60 = 65$.

პასუხი თავსატეხზე № 1

ჭიანჭველა მე-16 დღეს მიიღწევს ბოძის თავს.

პასუხი თავსატეხზე № 2

პასუხი ამოცანაზე „ოთხი რიცხვი“

გამოსაცნობი რიცხვებია: 27, 45, 4, 324.
 $(27 + 9 = 36; 45 - 9 = 36; 4 \times 9 = 36; 324 : 9 = 36)$



